სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 8 აგვისტო 2006 №181 (2803) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტოპი მსოფლიოს ჩემპიონთან

საქართველოს ნაკრების თავკაცი ბერლინში მიიწვიეს 2

მოჯადოება

ინტერვიუ მიხეილ აშვეთიასთან 3

კრესპომ ისევ ის ჩაიცვა, რაც სამი წლის წინ გაიხადა

ექსჩელსელი ინტერში დაბერდება

შოთა სათუოა, მუჯირი უთუო

შეცვლები თამაშამდე: ტრავმატული კითხვის ნიშნები

ახლოვდება 16 აგვისტო, საქართველოს ნაკრების პირველი მატჩი ევრო 2008-ის შესარჩევში, კლაუს ტოპმიოლერის ოფიციალური დებიუტი ჩვენს უპირველეს გუნდში და აი, ახალი სანაკრებო ამბავიც — კიევის „დინამოს“ შემტევ ოთარ მარცვალაძეს ტრავმა ისე გაუმიზეზდა, რომ 16 აგვისტოს ფარერებთან მატჩში ვერ ითამაშებს და ტოპმიოლერმა მის მაგივრად რუსული „კრილია სოვეტოვის“ შემტევ დავით მუჯირს უხმო.

სათუოა ფარერებთან ალკმაარელი შოთა არველაძის გამოჩენაც. არველაძემ გასულ უქმეებზე ლონდონის „არსენალთან“ ამხანაგურ მატჩში ითამაშა და ორი საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ დაჭიმული კუნთი ასტკივდა.

რაც შეეხება მილანელ კახა კალაძეს, მას მუხლის მყესი აქვს გაწყვეტილი, მაგრამ უოპერაციოდ უნდა მომჯობინდეს და იქნებ 2 სექტემბერს საფრანგეთის ნაკრებთან ითამაშოს კიდეც.

მუზების რა მოგახსენოთ, მაგრამ იქ, სადაც ქვემეხები ისვრიან, ფეხბურთის სათამაშო ადგილი აღარ რჩება: ახლო აღმოსავლეთში ომია გაჩაღებული და უეფამ ბრძანა, რეგიონში შექმნილი სიტუაციდან და უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ისრაელის მიწაზე ევროთასების მატჩების ჩატარება შეუძლებელიაო.

უეფამ ამის შესახებ ისრაელის ფეხბურთის ასოციაციასა და ევროთასებზე მოთამაშე იქაურ კლუბებს ადრევე აცნობა და გუშინ კი ცნობილი გახდა ის ნეიტრალური ქვეყნები და სტადიონები, რომლებიც ებრაული გუნდების მონაწილეობით გასამართ მატჩებს უმასპინძლებენ.

ზეგ, 10 აგვისტოს, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში თელ ავივის „ჰაპოელი“ სლოვენიურ „დომჟალეს“ ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დაუხვდება, ხოლო თელ ავივისავე „ბნეი იეჰუდა“ ბულგარულ „ლოკომოტივს“ სლოვაკურ სენეცში შეხვდება.

ისრაელისგან შორს, ნეიტრალურ სტადიონებზე ჩატარდება ორი კვრის შემდეგ გასამართი მატჩებიც — 23 აგვისტოსთვის დანიშნული ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა ჰაიფას „მაკაბისა“ და ინგლისურ „ლივერპულს“ შორის და მეორე დღეს, ანუ 24 აგვისტოს ჩასატარებელი თამაში „ბეითარსა“ და ბუქარესტის „დინამოს“ შორის.

ამავდროულად, უეფამ ისრაელის ფეხბურთის ასოციაციას სთხოვა, შეიმუშავოს სათადარიგო გეგმაც და მოითხოვა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს წერილობითი დასტური და უსაფრთხოების გარანტიები იმ ქვეყნების ხელისუფლებისა და საფეხბურთო ასოციაციებისგან, რომლებიც ისრაელის გუნდების მონაწილეობით გასამართ მატჩებს უმასპინძლებენ.

უეფამ ისრაელის კლუბები გაანეიტრალა

ომთან თამაში არ შეიძლება!

ტოპი მსოფლიოს ჩემპიონთან...

საქართველოს ნაკრების თავკაცი ბერლინში მიიწვიეს

11-13 სექტემბერს ფიფა და უეფა ბერლინში საგანგებო კონფერენციას ჩაატარებენ, რომელშიც 52 ევროპული ნაკრებისა და მუნდიალზე მონაწილე ნაკრებთა თავკაცები მიიღებენ მონაწილეობას.

ფიფა-უეფამ უკვე დაიწყეს სხვადასხვა ფეხბურთის ფედერაციებში მოსაწვევი ბარათების დაგზავნა და, ცხადია, ერთი მათგანი საქართველოს და კლაუს ტოპმიოლერსაც შეხვდება.

„ჩვენი მიზანია, ფეხბურთის განვითარებასა და მომავალზე ვიმსჯელოთ" — განაცხადა უეფას აღმასრულებელ-განმკარგულებელმა ლარს-კრისტერ ოლსონმა, ვინც, სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ თბილისში გახლდათ.

თავიდან მწვრთნელები მსოფლიოს ჩემპიონატს გააანალიზებენ, გაარჩევენ ტაქტიკურ ვარიანტებს და გაეცნობიან ახალ წესებს. ასევე მოუსმენენ მსოფლიოს ჩემპიონ მარჩელო ლიპის, რომელთანაც მცირე დისკუსიაც გაიმართება.

კახა შალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

უკრაინა სეზონს ვარჯიშით იწყებს

გუშინ უკრაინის ნაკრების თავკაცმა იმ 21 ფეხბურთელის ვინაობა გამოაცხადა, რომლებსაც 15 აგვისტოს აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში ათამაშებს.

ბლოხინის სიაში ერთი დებიუტანტია — ახალგაზრდული ნაკრების წევრი ტარას მიხალიკი. სიახლეა ისიც, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გუნდში დაუბრუნეს ალექსანდრ რიკუნი.

აქვე გეტყვით, რომ უკრაინის ნაკრებს საქართველო ევრო 2008-ის მესამე ტურში, 6 სექტემბერს სტუმრად ეთამაშება, მანამდე კი ჩვენებს, გეცოდინებათ, ფარერებთან და საფრანგეთთან მატჩები ელით.

მეკარეები: ვიაჩესლავ კერნოზენკო (დნიპრო), მაქსიმ სტარცევი (კრივბასი);

მცველები: ანდრეი ნესმაჩნი (დინამო, კიევი), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), ვიაჩესლავ სვიდერსკი (შახტარი), ალექსანდრ კუჩერი (შახტარი);

ნახევარმცველები: ოლეგ გუსევი (დინამო, კიევი), სერგეი რებროვი (დინამო, კიევი), რუსლან როტანი (დინამო, კიევი), ტარას მიხალიკი (დინამო, კიევი), ანდრეი გუსინი (კრილია, რუსეთი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), სერგეი ტკაჩენკო (შახტარი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), ოლეგ შელაევი (დნიპრო), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო), ალექსანდრ რიკუნი (მეტალისტი);

თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსეი ბელიკი (შახტარი).

შეგახსენებთ: აზერბაიჯანთან 15 აგვისტოს ამხანაგური მატჩი ბოლო სანაკრებოა, რომელშიც ანდრეი გუსინი ითამაშებს — უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ეროვნულ გუნდს ეთხოვება.

კახა შალამბერიძე

საფრანგეთი
II დივიზიონი. III ტური
ლიგურნი 2:4 ბასტია

ნორვეგია
ტიპელიგა. XVI ტური
ფრედრიკსტადი 2:2 ჰამ კამი

ჩეხეთი
გამბრინუსლიგა. II ტური
პლზენი 0:1 სპარტა

შვედეთი
ალსვენსკა. XIII ტური
იოსტერსი 3:1 ჰალმსტადი
სუპერეტა. XVIII ტური
ლანდსკრონა 0:0 ბრომაპოიკარნა
ტრელებორგი 2:1 ვასბი

ირლანდია
ლიგის თასის ნახევარფინალი
ფელგურნი 1:0 ბოჰემიანსი

ამხანაგური მატჩი
დუისბურგი (გერმანია) 1:2 შალკე (გერმანია)

კახეთი და მახარაშვილი დღეს გადაწყდება

შესაძლოა, თელავის „კახეთი" დღეს უმთავარმწვრთნელოდ დარჩეს — ამ უქმეებზე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში „კახეთმა" რუსთავის „ოლიმპთან" 0:7 წააგო...

ჯემალ მახარაშვილი თელავის „კახეთს" მაშინ ჩაუდგა სათავეში, როცა წინა სეზონი რამდენიმე ტურის დაწყებული იყო. მახარაშვილმა ამოცანას წარმატებით გაართვა თავი — თელავის „კახეთმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

დღეს მახარაშვილი თელავის გამგებელს და „კახეთის" პრეზიდენტ გოჩა მამაცაშვილს უნდა შეხვდეს. ერთი ჩაფლავებული თამაშის გამო მწვრთნელებს არ ხსნიან, მაგრამ ამ შემთხვევაში გადადგომის სურვილი თავად მახარაშვილისგან მოდის და ვნახოთ, რას გადაწყვეტენ მწვრთნელი და პრეზიდენტი.

დავით თავართქილაძე

დავით დიღმელაშვილი

ჩელიაბინს-კი?

დიღმელაშვილს და ფეიქრიშვილს რუსეთში უხმეს

დიდი შანსია, „ვიტ ჯორჯიას" საამსეზონოდ კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდეს — დავით დიღმელაშვილით და გიორგი ფეიქრიშვილით რუსეთის პირველი დივიზიონის „ჩელიაბინსკი" დაინტერესდა.

წინა სეზონის შემდეგ „ვიტ ჯორჯია" დატოვა დავით იმედაშვილმა, ვინც გუნდის მართლაც გამორჩეული ფეხბურთელი იყო. იმედაშვილი კიევის „დინამომ" შეიძინა და ახლა „ვიტ ჯორჯიამ" ვინძლო რუსეთშიც გაასხვისოს ფეხბურთელები.

26 წლის დიღმელაშვილი და 23 წლის ფეიქრიშვილი გუშინ უნდა გამგზავრებულიყვნენ ჩელიაბინსკში და მათი ამ გუნდში ჩარიცხვა-არჩარიცხვაც რამდენიმე დღეში გაირკვევა.

ლუკა თალაკვაძე

ქართველები, სომხები და შავი ზღვა

პირველი იყო 1:0. მალე იქნება სხვა

გუშინ ბათუმში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა სომეხ თანატოლებს 1:0 მოუგო. გოლი გიორგი კვარაცხელიამ გაიტანა.

ჰერბერტ ცანკერის გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, თუმც თამაშის ხარისხი მაღალი არ ყოფილა, რაც ალბათ ხვატის ბრალიც იყო.

10 აგვისტოს ქართველი იუნიორები ერთხელაც გაეჯიბრებიან ამხანაგურად სომხეთის 17-წლამდელთა ნაკრებს. ცანკერის განკარგულებაში 25 ფეხბურთელია, აგვისტოს ბოლოს კი გუნდი ლიტვაში პალანგის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს და ცანკერი იქ 18 ფეხბურთელს წაიყვანს.

ლუკა თალაკვაძე

ევროპის ჩემპიონატი

თბილისის „ამერის" საუეფა-სთასო მეტოქე ბერლინის „ჰერტამ" სტუმრად ამხანაგური მატჩი გამართა მეორებუნდესლიგელ აუე-სთან და 2:1 დაამარცხა. არადა, თავიდან დავით სირაძე და მისი გუნდი იგებდნენ — მე-5 წუთზე ანჟეი იუსკოვიაკმა დააწინაურა აუე.

ბერლინელთა თავკაცმა ფალკო გიოტცმა უძლიერესი შემადგენლობა ათამაშა. ერთადერთი დანაკლისი კრისტიან ხიმენესი იყო, ვინც თამაშის დღეს გააფორმა კლუბთან კონტრაქტი.

„ჰერტას" მწვავე შეტევებმა შედეგი პირველივე ტაიმში გამოიღო — 34-ე წუთზე მარკო პანტელიჩმა გაათანაბრა და მანვე 49-ე წუთზე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

აქვე „ჰერტას" შემადგენლობას გთავაზობს ტაქტიკური განლაგების მიხედვით: ფიდლერი — ფრიდრიხი, ვან ბურიკი (ჩაჰედი 46), შიმუნიჩი, ფატი — დარდაი (შმიდტი 81), ჟილბერტო, კაირო (ებერტი 81), ბაშთურქი — პანტელიჩი (დეჯაგა 81), ლაკიჩი (ოკორონკვო 54).

შეგახსენებთ, რომ „ჰერტა" — „ამერის" პირველი მატჩი 10 აგვისტოს ბერლინში გაიმართება.

კახა შალამბერიძე

ჰერტამ ამერი აუესთან მოსინჯა

ბერლინელთა ორივე გოლი მარკო პანტელიჩმა (მარჯვნივ) გაიტანა

საკუნძულო მსაჯ-დელეგატები

გუშინ უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფარერებ — საქართველოს მატჩის მსაჯთა და დელეგატთა ვინაობა აცნობა. სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, 16 აგვისტოს ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს ჩრდილოირლანდიელი მსაჯები განსჯიან: არბიტრი მაიკლ ტომას როსი გახლავთ, თანამსაჯები — დეივიდ რედფერნი და დეივიდ პოლ ტოდი, ხოლო სათადარიგო არბიტრი დეივიდ მალკოლმი იქნება.

დელეგატი გერმანელი ვოლფ-ვიუნტერ კაიზელია, მსაჯთა დამკვირვებელი კი შვედი ლარს-აკე ბიორკი.

კახა შალამბერიძე

მოჯადოება

მიხეილ აშვეთია ტაბლის თვალს ვერ უსწორებს

რუსეთის ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატ ყაზანის „რუბინს“ საქმეები აეწყო. ყაზანელებს ბოლო ხუთი ტურია, მატჩი არ მოუგიათ და, რაც უფრო გასაკვირია, გუნდმა წინა თამაში სტუმრად „ტომთან“ 0:4 დათმო, გუშინწინ კი შინ „სატურნთან“ — 0:3. მოგეხსენებათ, „რუბინში“ ერთბაშად ხუთი ქართველია — ლაშა სალუქვაძე, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ აშვეთია, ნუკრი რევიშვილი და ზურაბ არზიანი. ამათგან ჯერჯერობით ყველაზე სტაბილურად თავდამსხმელი აშვეთია თამაშობს, მაგრამ, ისიც საკვირველია, რომ ერთ დროს მთლიანად რუსეთის საუკეთესო ფორვარდს „რუბინში“ ჯერ გოლი არ გაუტანია...

— ცოტა არ იყოს, უკვე ვნერვიულობ კიდეც. რა ხანია, გოლი აღარ გამიტანია. არადა, ყველა მატჩში სამი-ოთხი ნაღდი მომენტი მექმნება ხოლმე — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ — ჩემ დარტყმულებზე მეტოქის კარი თითქოს მოჯადოებულია. გოლი რომ მგონია, ან მეკარე მოახდენს სასწაულს, ან კიდევ ბოლო მომენტში ბურთი სადღაც გაფრინდება... მოკლედ, „რუბინში“ გოლების ანგარიში ჯერ ვერაფრით გავხსენი.

— უშედეგობა უფრო უიღბლობის ბრალია თუ საუკეთესო ფორმაში ვერ ხარ?

— ალბათ, უფრო უიღბლობის. კარგ ფორმაში ვარ, მწვრთნელიც მენდობა, ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ვთამაშობ, მაგრამ არ მიმართლებს... თუმცა, ბოლო დროს მხოლოდ „სატურნთან“ ვიყავი ჩვეულ პოზიციაზე, იქამდე კი თავდამსხმელების უკან ვთამაშობდი და თამამადაც ვერ ვუტევდი.

— ისე, ბოლო დროს მთლიანად „რუბინსაც“ წაუხდა საქმეები...

— აშკარა ჩავარდნა გვაქვს, თამაში ვერ მოგვიგია, აგერ ახლა კი შინ 0:3 წავაგეთ. ერთი შეხედვით, გუნდში საგანგაშო არაფერია, ყველა თავის საქმეს ძველებურად აკეთებს, მაგრამ ქულებს ქულებზე ვკარგავთ, რაც ჩემპიონატის ბოლოს, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაგვიჯდეს.

— გუნდში რას ამბობენ, ჩავარდნა რისი ბრალიაო?

— კრიზისი მხოლოდ „რუბინში“ არ არის, „ლოკომოტივი“, მოსკოვის „დინამო“, ცეესკა — ყველა გუნდში რაღაც ხდება და ყველა ერთს ამბობს, ამგვარი ჩავარდნა გუნდებს კალენდრის გამო აქვთო. ზოგჯერ კვირაში სამი თამაშია და ამოსუნთქვის საშუალება არ გვაქვს, ხანაც შესვენებას გამოაცხადებენ და დაახლოებით ათი დღე მხოლოდ ვვარჯიშობთ. როცა რიტმი დაირღვევა, მერე ძნელია კონდიციების ერთბაშად აღდგენა.

— რუბინში“ ხუთი ქართველი ხართ, მაგრამ ერთად ჯერ არ გითამაშიათ...

— მწვრთნელთან ეხუმრობთ კიდეც, ყველა ერთად გვათამაშე და მოვიგებთო... ისე, ჩემ გარდა ჯერ გიორგი ქინქლაძე იყო ტრავმირებული, მერე ლაშა სალუქვაძე; ნუკრი რევიშვილი ახალმოსულია, ზურაბ არზიანი კი მეორე გუნდშია. მე, ქინქლაძემ და სალუქვაძემ „შინიკთან“ კი ვითამაშეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ლაშას ფეხი ტკიოდა, ხოლო გიო ახლახანს გამოჯანმრთელდა და საუკეთესო ფორმამდე ჯერ კიდევ უკლია.

— რევიშვილს ძირითადში როდის ათამაშებენ?

— ბოლო ორ მატჩში შვიდი გოლი გავუშვით და, როგორც გავიგე, ახლა მწვრთნელი ძირითადისთვის სწორედ ნუკრის ამზადებს. მომავალი თამაში კი უეფას თასზე ბელარუსულ ბატე-სთან გვაქვს და რევიშვილი ალბათ ძირითადში იქნება.

— წლეულს რუსეთში ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი რომელ გუნდს აქვს?

— რა ვიცი, ჯერჯერობით ყველაზე უკეთ მოსკოვის „სპარტაკი“ თამაშობს, მაგრამ ცოტა ხანში, ალბათ, ამ გუნდსაც ექნება ჩავარდნა. არა მგონია, „სპარტაკმა“ მთელი ჩემპიონატი ერთ დონეზე ჩაატაროს. წლეულს რუსული გუნდების დონე გათანაბრდა და ახლა არც გამოკვეთილი ლიდერი ჩანს და არც აუტსაიდერი.

— საქართველოს ნაკრებიდან არავინ დაგკავშირებია?

— არა, უკვე რა ხანია, არავის გავხსენებივარ, მაგრამ არა უშავს, მალე გოლების გემოს გავიხსენებ და მერე, ალბათ, გამომიძახებენ.

კობა ინასარიძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის“ ფილიალებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ჯოსმოპოლიტური მიმოხილვა

ესეც ასე, დაიწყო საქ. ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც გვპირდება, რომ იქნება ძალიან დაძაბული და პრადვინუტი. დაძაბული იქნება იმიტომ, რომ, როგორც მთელი ჩვენი ცხოვრება, ქართ. პოლიტიკოსების ისტერიკის ფონზე ჩაივლის (ისტერიკის თემა ნებისმიერი), ხოლო პრადვინუტი იმიტომ, რომ წინა თუ მეჩვიდმეტე იყო, ეს მეთვრამეტე გამოდის — როგორც ერთი ძველქართული გამოთქმა ღაღადებს, „პროგრესი სახეზეა“.

რა სიახლეებით გვეგებება ახ. ჩემპიონატი? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ თუ ჩვენი წინა ეროვნული თექვსმეტგუნდიანი იყო, ახლა ის ჩვენი თოთხმეტიანი გახდა. გაუქმდა ფოთის „კოლხეთი“ (რომელიც კიდევ რომ აღდგება, უკვე „კოლხეთი 1913-2006“, ესე იგი, „კოლხეთი -93“ გახდება და სწორედ მანდ ეშველება საბოლოოდ, რადგან მის სახელწოდებაში, ასე თუ ისე, დამკვიდრდება ბენზინის მარკა „93“, რის გამოც გუნდი არსით დაუკავშირდება ნავთობპროდუქტებს, ანუ ტერმინალს, ხოლო ნავთობში ფული ძევს). რაც შეეხება გორის „ცხინვალს“, ვიღაცამ თქვა, რომ ის დაინგრა, როგორც დაინგრეოდა ქუთაისის „ტაო კლარჯეთი“ ან თელავის „სოჭი“ (ჩვენებურად სოჩა). ღმერთო, შენ დაეხმარე თბილისის „ცხუმს“ და მუხრანის „გაგრას“.

მაგრამ, სიახლეებთან ერთად, როგორც ჩვენში იტყვიან, სახეზეა ტრადიციათა ერთგულებაც და ეს სასიხარულოა. მაგ.: დადგა აგვისტო და ევროტურნირებს ერთადერთი ქართ. გუნდიღა შემორჩა, მოედნებზე ძველებურად იზრდება სოიო და მაყურებელიც, ტრადიციისამებრ, კონკრეტულად იგინება: „ეი, — გვარი — შენი მარტში მოყვანილი ცოლი...“

კიდევ, სასიხარულო ამბებიდან აღსანიშნავია ის, რომ ჩემპიონთა და უეფას თასებზ ვაჯობეთ სამეზობლოს — „სიონმა“ „ბაკი“ დაამარცხა, ხოლო „ამერმა“ „ბანანცი“. მართალია, სამეზობლოც არის და სამეზობლოც, „გალათასარაი“ და ცეესკაც მეზობლები არიან, მაგრამ ჭკუაში ვერ გვჯობნიან. ჩვენ იქამდე არ მივდივართ, თვითონ კი დიდი გაპრანჭული ვინმეები ბრძანდებიან, არ გვკადრულობენ და იქამც იყონ. „უბანში“ ჩვენ გამოვდივართ პირველები.

და როგორია პროგნოზი?

კარგი. ალბათ, დაგეგმილი 26 ტურიდან ოცში რამდენიმე გუნდი ქართ. ადათის თანახმად გამოაცხადებს, რომ ამა და ამ ქალაქამდე ჩასასვლელად ფული არ აქვს, რამდენიმე კი შვიდი თვის დაგვიანებული ხელფასების გამო გაიფიცება, მაგრამ გარწმუნებთ, საბოლოოდ ყველა ყველგან ჩავა და ყველა ყველაფერს ითამაშებს, რადგან ერთი ძველი კინოსი არ იყოს, „ტოლკო მი გრუზინი მოჟემ კამნი კუშატ“.

კაკუნა კედია

P.S. ტელევიზორში თქვეს, ზეზვას და მზიას შთამომავლები ვართო...

25 გოლი 7 თამაშში, საშუალოდ 3,6 გოლი მატჩში — ასეთი გამოდა მეორე ტური. 7:0 და 6:1 — ამბობენ, რომ ფეხბურთში ასეთი ანგარიშები შემთხვევითია, ასეთ დროს ანგარიში ძალთა თანაფარდობას არ ასახავს. ხშირ შემთხვევაში მართალაც ასეა, მაგრამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ხშირ შემთხვევათა ნუსხაში არ შედის...

ბაჩრი ჯაფარიძის ფოტო

„ვიტ ჯორჯია“ — „სიონი“ 3:2. გაშვებული გოლი ერთია და, ვიტელთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილი სიცხემაც გვარიანად შეაწუხა

ტური „ბათუმ“ — „ამერის“ დაპირისპირებით დაიწყო და საქართველოს თასის წლევანდელი ფინალის ერთ-ერთმა გმირმა, ამერელთა მეკარე ზურაბ ქვაჩახიამ კვლავ ისახელა თავი — ბრაზილიელ ტიაგოს პენალტი აუღო. ამერელები შეხვედრის ბოლო ოცი წუთი კაცნაკლულნი იყვნენ, პენალტიც მაშინ დაინიშნა მათ კარში, მაგრამ გიორგი ჩიხრაძის გუნდმა ყველაფერს გაუძლო და მეთვრამეტე ეროვნულში უდანაკარგოა. ხვალ კი ამერელები ბერლინში მიემგზავრებიან 10 აგვისტოს იქაურ „ჰერტასთან“ სათამაშოდ — „ამერი“ ერთადერთი ქართული გუნდია, ევროსარბიელს რომ შემორჩა.

ლიდერი კი გორის „დილას“ კარში ექვსი გოლის გამტანი თბილისის „დინამოა“. დინამოელებმა წინა ტურისგან განსხვავებული შემადგენლობითა და ტაქტიკური განლაგებით ითამაშეს და თუ წინა ტურში „ბორჯომს“ 3:0 მოუგეს, „დილას“ ორჯერ მეტი გაუტანეს. კახა კაჭარავას გუნდს კარგი გამოცდა მომდევნო ტურში მოუწევს ნაჰერტალ „ამერთან“, სადაც ალბათ უფრო კარგად გამოჩნდება „დინამოს“ შესაძლებლობები.

ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აქვს „ზესტაფონსაც“ და თანაც ისე, რომ გოლი არ გაუშვია ისევე, როგორც „ამერს“.

ორ თამაშში გოლი ვერავინ გაუტანა ქუთაისის „ტორპედოს“, არადა, ქუთაისელები ისეთ გუნდებს ეთამაშნენ, კარგი შემტევი რესურსი რომ აქვთ — „ვიტ ჯორჯიას“ და „ჩიხურას“. თუმც ისიცაა, რომ ქუთაისელები ჯერჯერობით თავადაც ვერ ახერხებენ გატანას.

მეტს ველოდით საჩხერის „ჩიხურასგან“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი თანდათან გაიხსნება. გიორგი მიქაძე და მიხეილ კაკალაძე — „ჩიხურას“ შეტევებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ და, შესაბამისად, დრო სჭირდებათ ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად.

სახელდახელოდ შექმნილმა რუსთავის „ოლიმპმა“ ჩემპიონატი რიხით დაიწყო და მისგან „კახეთის“ ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხება მოულოდნელი იყო. საკამათოა, 7:0 ამ შემთხვევაში შემთხვევითი ანგარიში იყო თუ ძალთა თანაფარდობას ასახავდა. საინტერესოა, გიორგი კიკნაძე „ოლიმპის“ დროებითი მთავარი მწვრთნელი იქნება თუ კლუბი მას, როგორც მთავარ მწვრთნელს, კონტრაქტს გაუფორმებს.

უნარიანი ახალგაზრდა მწვრთნელის გამოჩენა, ზოგადად, ძალიან საინტერესოა, მაგრამ კიკნაძეზე ჯერ რამის თქმა შეუძლებელია — სეზონი რომ გახურდება, მის სამწვრთნელო ღირსებებზე მერედა უნდა ვისაუბროთ.

„დღეს ფეხბურთი ჯერ ვნახე, რა გითხრათ?! ასეთი გუნდები უმაღლეს ლიგაში არ უნდა თამაშობდნენ. ბიდიშით, მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვით“ — ბორჯომელთა დამრიგებელმა ვლადიმერ ხაჩიძემ ეს „ლოკომოტივთან“ მატჩის შემდეგ თქვა, „ლოკომოტივი“ კი ბორჯომიდან წაღებული ქულით კმაყოფილი დარჩა. „ბორჯომს“ გამთანაბრებელი წარმოშობით ბორჯომელმა ვლადიმერ გოჩაშვილმა გაუტანა.

ვნებათა კორიანტელი დატრიალდა ტურის მთავარ შეხვედრაში. კარგი თამაშის გარდა „არმაზზე“ განებაც ბევრი იყო და თუ რომელი მხარე „გამოირჩა“ ამით, ვისაც საქართველოს ჩემპიონატზე წარმოდგენა აქვს, აუცილებლად მიხვდება. თამაში კი კარგი გამოვიდა. „ვიტ ჯორჯიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ არც „სიონზე“ ითქმის აუგი — კახა ცხადაძის გუნდს მიზეზთა გამო სკამი დაუმოკლდა, რაც მისი „ვიტ ჯორჯიასთან“ მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

20 აგვისტომდე ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებაა — ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებზე და ევროსარბიელს შემორჩენილ კინკილა ქართულ გუნდზე მოგვიწევს ყურადღების გადატანა.

დავით თავართქილაძე

ფაბრიკანტ ფოტო

ჩემპიონატის პირველი ჰეთ თრიქი მეორე ტურში იყო: დინამოელმა ჯაბა დვალმა სამჯერ გაისროლა



ნოდარ აკობიას ნაცვლად „ოლიმპის“ თავკაცად დანიშნულმა გიორგი კიკნაძემ შთამბეჭდავი დებიუტი მოიწყო

დინამო	6:1	დილა
ბათუმი	0:1	ამერი
ბორჯომი	1:1	ლოკომოტივი
ჩიხურა	0:0	ტორპედო
ვიტ ჯორჯია	3:2	სიონი
ოლიმპი	7:0	კახეთი
მერანი	0:3	ზესტაფონი

ბომბარდირები

3-დვალი	*დინამო*
2-ბაშვილი	*დინამო*
ჭელიძე	*ზესტაფონი*
სახოკია	*ვიტ ჯორჯია*
სირბილაძე	*ოლიმპი*
დვალიშვილი	*ოლიმპი*

დინამო	2	2	0	0	9:1	6
ზესტაფონი	2	2	0	0	5:0	6
ამერი	2	2	0	0	3:0	6
ვიტ ჯორჯია	2	1	1	0	3:2	4
ოლიმპი	1	1	0	0	7:0	3
მერანი	2	1	0	1	1:3	3
ტორპედო	2	0	2	0	0:0	2
ბათუმი	2	0	1	1	0:1	1
ლოკომოტივი	2	0	1	1	1:3	1
ჩიხურა	2	0	1	1	0:2	1
ბორჯომი	2	0	1	1	1:4	1
დილა	2	0	1	1	1:6	1
სიონი	1	0	0	1	2:3	0
კახეთი	2	0	0	2	0:8	0

ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲢᲣᲠᲘ

20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, ᲮᲣᲘᲠᲐ

დილა – ბორჯომი

ამერი – დინამო

ტორპედო – ბათუმი

სიონი – ჩიხურა

კახეთი – ვიტ ჯორჯია

ზესტაფონი – ოლიმპი

ლოკომოტივი – მერანი

სიმბოლური ნაკრები

- ჯაბა დვალი (დინამო)
- გასტონ ევოჩი (სიონი)
- გიორგი ჭელიძე (ზესტაფონი)
- გიორგი ფციძრიშვილი (ვიტ ჯორჯია)
- ზაზა სახოკია (ვიტ ჯორჯია)
- ლაშა ძებაძე (ოლიმპი)
- დავით დიდვილაშვილი (ვიტ ჯორჯია)
- შოთა კაშია (დინამო)
- შალვა ღონღაძე (ზესტაფონი)
- პაატა დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)
- ზურაბ ძვაჩახია (ამერი)

გავაჩეროთ აბრამოვიჩი!

ჰეიდომანია



აბრამოვიჩის დამჭაში მიკ მაკგირი

საქმე, რომელსაც შერლოკ ჰოლმსი სჭირდება



დიდი ანტირომანისიტი კენ ბეიტსი

აბრამოვიჩის კიდევ ერთი მომჩივანი ჯეფ დანსფორდი

160 ათას გირვანქიანი ბავშვი: სკოტ სინკლერი

როგორ იპარავს ჩელსი ბავშვებს

„ლიდსისა“ და „ჩელსის“ სატრანსფერო დაპირისპირების ამბავმა საოცარი მიმართულებით მოუხვია — თურმე ლონდონელებს ლიდსელ ყმაწვილთა გადაბირებაში პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირი დახმარებია.

შეგახსენებთ, რომ საქმე „ელანდ როუდიდან“ „სტემფორდ ბრიჯზე“ ორი ახალგაზრდის გადაყვანას ეხება. ეს ახალგაზრდები „ლიდსის“ აკადემიის მოსწავლენი გახლდნენ და, როგორც ირკვევა, მათი გაყიდვა კლუბის ხელმძღვანელებს არ სურდათ, მაგრამ „ჩელსიმ“ რაღაც ხერხები გამოჩხრიკა, მოთამაშენი გადაიბირა და ახლა „ლიდსს“ კომპენსაციად 200 ათას გირვანქას სთავაზობს. ასეთმა თავხედობამ „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარე (სხვათა შორის, „ჩელსის“ ყოფილი გამგებელი) კენ ბეიტსი გააცეცხლა და საფეხბურთო ინსტანციების კართან რკინის ქალამნებით მიიყვანა.

ამასობაში კი გაირკვა კიდევ ერთი ამბავი, თურმე ნუ იტყვით და, „ჩელსის“ იმავ ხერხით „ბრისტოლ როვერსისთვისაც“ აუწაპნია ყმაწვილკაცი, რაც ბრისტოლელთა თავმჯდომარემ ჯეფ დანსფორდმა **„NEWS OF THE WORLD“**-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში დაიჩივლა.

დანსფორდი: „რამენაირად „ჩელსი“ უნდა შევაჩეროთ. ჩვენ დავკარგეთ უნიჭიერესი სკოტ სინკლერი, რომელიც დღეს 17 წლის არის, ხოლო მაშინ, როდესაც ჩვენთან მოვიდა, ცხრისა გახლდათ. ჩვენ მასში 160 ათასი გირვანქა გადაგვიხადეს, რაც სასაცილოა. „ჩელსი“ პრემიერლიგის სხვა გუნდების მსგავსად პატიოსან მოლაპარაკებებს არ აწარმოებს, მას ყმაწვილების გადაბირების თავისი სისტემა აქვს შემუშავებული. ეს სწორი და სამართლიანი საქციელი არ არის. საჭიროა გადავხედოთ კანონებს და ამგვარ თვითნებობას ბოლო მოვუღოთ“.

მაგრამ დავუბრუნდეთ „ლიდსს“, რომელმაც კვირას „ნორვიჩს“ 1:0 მოუგო. ამ კლუბმა ჯერ კიდევ იანვარში შემოჰკრა განგაშის ზარს, „ჩელსი“ ჩემს რჩეულ ბიჭებზე ნადირობსო — ლიდსელები შიშობდნენ, რომ ლონდონელები არასრულწლოვანთა გადაბირების წესებს არას დაგიდევდნენ და თვითნებობას ჩაიდენდნენ.

დღეს უკვე ირკვევა, რომ „ჩელსის“ პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირი, კერძოდ კი მისი აღმასრულებელი შეფი მიკ მაკგირი დახმარებია. სწორედ მას აუღია თავზე ინგლისის 16-წლამდელთა ნაკრების ორი მოთამაშის, მაიკლ ვუდსის და ტომ ტაივოს წარმომადგენლობა, როდესაც „ჩელსიმ“ პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა.

მაგრამ, როგორ გაბედა მაკგირიმ ასეთი რამ? რა უფლება ჰქონდა პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის აღმასრულებელ შეფს, გამხდარიყო „ლიდს იუნაიტედის“ აკადემიის ორი კურსდამთავრებულის წარმომადგენელი მაშინ, როდესაც ისინი სხვა კლუბთან აწერდნენ კონტრაქტს ხელს? „ლიდსში“ ამბობენ, რომ კვალს მაკგირის თანამშრომელთან, ფილ სპროუსონთან მივყავართ. ლიდსელთა ვერსიით, სპროუსონი ვუდსსა და ტაივოს დიდი ხანი უწევდა „ჩელსიში“ გადასვლის აგიტაციას.

ირკვევა, რომ „ჩელსიმ“ და ხსენებულმა პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა შარშან ოქტომბერში ლიდსელთაგან მალულად ლონდონელების საწვრთნელ ცენტრში მიიწვიეს ვუდსი, ტაივო და მათი კიდევ ერთი თანატოლი დენი როუზი (რომელმაც „ჩელსიში“ გადასვლა არ ისურვა). ეს ბიჭები და მათი მშობლები სასტუმროშიც თავიანთ ხარჯზე დაუბინავებიათ და 26 ოქტომბერს „ჩარლტონთან“ სათასო შეხვედრაზეც დაუპატიჟებიათ როგორც საპატიო სტუმრები. „ლიდსის“ ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ „ჩელსი“ სწორედ ამის გამო უნდა დაისაჯოს მკაცრად, რადგან მას არანაირი უფლება არ ჰქონდა, მოლაპარაკება წამოეწყო სხვა კლუბის აკადემიის მოსწავლეებთან. სხვა იქნებოდა, ლონდონელებს ეს 2006 წლის მარტის შემდეგ რომ გაეკეთებინათ, უკვე აკადემიადამთავრებულებთან.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია და პრემიერლიგა საქმეს იძიებენ და ცდილობენ ამოიცნონ, დაირღვა თუ არა ერთის ან მეორის კანონმდებლობა — პრემიერლიგას მონაწილე მხარეთაგან „ჩელსი“ ეკუთვნის — თუმცა მიკ მაკგირი კატეგორიულად აცხადებს, რომ მას პროფესიული ქცევის პრინციპი არ დაურღვევია, რადგან ხსენებული ორი ფეხბურთელი „ჩელსის“ „ლიდსის“ თანხმობით (!) მიჰყიდა.

„ლიდსელებმა ეს ბიჭები კანონის დაცვით გაათავისუფლეს და ისინიც მათი ნებართვით გადავიდნენ „ჩელსიში“ — თქვა მაკგირიმ.

პაპუნა კედია

ფერგიუსონის შევი-იუმორი და სარკასტული არითმეტიკა

გაამრავლეთ შევჩენკო ოცდაათზე და მიიღებთ ერთ კანტონას



ინგლისური პრემიერლიგა ჯერ არ დაწყებულა და იქაური მწვრთნელები უკვე ერთმანეთს ჭამენ. „ჩელსის“ დამრიგებელმა ჟოზე მაურინიუმ ამას წინათ განაცხადა, რომ რაფა ბენიტესის „ლივერპული“ ვერასდროს გახდება ჩემპიონი. „მანჩესტერის“ მხცოვანი თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი კი თავად პორტუგალიელ მაუს „ჩელსიში“ ხანშიშესულ ვარსკვლავთა მიყვანისა და სტემფორდ ბრიჯელი ახალგაზრდა ფეხბურთელების დაჩაგვრის გამო აკრიტიკებს

საქმე 29 წლის მიხაელ ბალაკისა და 30 წლის ანდრეი შევჩენკოს ტრანსფერებს ეხება. ფერგიუსონის აზრით, გერმანელმა და უკრაინელმა „სტემფორდ ბრიჯს“ დაგვიანებით, უკვე ასაკშეპარულებმა და ტიტულებით დახუნძლულებმა მიაკითხეს. „როცა გუნდს „ბებერი“ ფეხბურთელებისგან აღგენ, მთელი პასუხისმგებლობა ვეტერანებს ეკისრებათ. ანდრეი შევჩენკო და ბალაკი „შესანიშნავი მოთამაშეები არიან, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, ჯილდოებისა და გამარჯვებისთვის მოედანზე თავს არ მოიკლავენ, ცხოვრებაში უკვე ყველაფერი აქვთ ნანახი“ — განაცხადა „იუნაიტედის“ შეფმა მედიასთან საუბარში.

შოტლანდიელი „ჩელსის“ მიერ შევჩენკოში გადახდილ 31 მილიონ გირვანქასაც სასტიკად გაუბრაზებია. „თავის დროზე ერიკ კანტონა 1 მილიონად ვიყიდეთ. აბა, ახლა ვინმემ მითხრას, რომ შევჩენკო კანტონს ოცდაათჯერ სჯობს. სრული სისულელეა. გადახედეთ ვიდეოჩანაწერებს, ერთმანეთს შეადარეთ და მივხვდებით, რომელია უკეთესი. ფული ყველფერი არაა ამ ქვეყანაზე, რაც ზოგიერთებს არ ესმით“ — ბობოქრობს მხცოვანი სერ ალექსი.

ფერგიუსონმა ბოლოს ისიც თქვა, მაურინიუ უცხოელ ვარსკვლავებს გადაეკიდა და „ჩელსის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს არანაირ ყურადღებას აღარ აქცევსო: „ახალგაზრდები მაუს ყოველთვის გვერდზე რჩება. სულ ახალ-ახალი უცხო ვარსკვლავების ყიდვაზე ფიქრობს... მე კი „მანჩესტერის“ ნორჩ მოთამაშეებს უყურადღებოდ არასდროს ვტოვებდი, „ოლდ ტრეფორდზე“ ყოფნის 20 წლის მანძილზე „იუნაიტედის“ სკოლის აღზრდილთაგან ოთხი თუ ხუთი გუნდი შევადგინე... ვინ იცის, იქნებ ახალი როი კინიც შინ გვეზრდება. ყოველ შემთხვევაში, ჯერ უცხოეთში კინისნაირი ფეხბურთელი არ მინახავს...“

ლადო ხომერიკი

ადრიანოს გაზეთით ვერ შეაშინებ

მილანის „ინტერის“ ბრაზილიელი ლეგიონერი ადრიანო კარს მომდგარ სეზონზე საუბრობს და ისევ ირწმუნება, ისე კარგად ვითამაშებ, როგორც არასდროს მითამაშიაო. „ნეროაძური“ კი თავდამსხმელის ძიებას აგრძელებს და, იტალიური პრესის ცნობით, ოთხ ფეხბურთელს უტრიალებდა — ლუკა ტონის, ზლატან იბრაჰიმოვიჩს, დავიდ ტრეზეგესა და ერნან კრესპოს. თუმცა ადრიანოს არც ერთი მათგანი არ აშინებს და თვლის, რომ იგი გუნდის საუკეთესო მოთამაშეა.

„გაზეთებში წავიკითხე ტონის, იბრაჰიმოვიჩის, ტრეზეგესა და კრესპოს „ინტერში“ შესაძლო გადმოსვლის შესახებ. ვიცი, რომ ერთ-ერთი მათგანი მაინც დაგვემატება, მაგრამ ეს ნამდვილად არ მაღელვებს, პირიქით, მიხარია“ — აღნიშნა ადრიანომ.

აპენინური ჟურნალ-გაზეთები იმასაც წერენ, ხსენებული ოთხი კანდიდატიდან, ამჟამად ყველაზე რეალური, კრესპოს „ინტერში“ გადასვლააო. „ნეროაძურის“ არგენტინელის აგენტთან უკვე მიუღწევია შეთანხმებისთვის და უახლოეს მომავალში „ჩელსის“ მოთაფვლას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ახლახან კრესპომ იტალიის მოქალაქეობა მიიღო და, როგორც თვითონ ამბობს, თავის მეორე სამშობლოში დაბრუნება ძალიან უნდა.

ადრიანო: „ორი მიზეზის გამო არ ვღელავ. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ვიცი, მინდორზე რაც შემიძლია და მირჩევნია, ჩემი ძალა თამაშით დავამტკიცო, ვიდრე სიტყვებით. მე „ინტერის“ საუკეთესო შენაძენი ვარ. მომავალ სეზონში იმაზე უკეთ ვითამაშებ, ვიდრე ორი წლის წინ, როცა ბრწყინვალე ფორმაში ვიყავი. მეორე მიზეზი კი გუნდის ჩემდამი ნდობაა, რომელსაც ვგრძნობ. ფიზიკურად ასი პროცენტით მზად ჯერ კიდევ არ ვარ, მაგრამ მჯერა, სეზონის დაწყებისას სათანადო ფორმაში ვიქნები“.

გასულ სეზონში ბრაზილიელმა ცუდად ითამაშა. „ინტერის“ მაისურით ყველა ტურნირზე მხოლოდ 19 გოლი შეაგდო. თან კონფლიქტი ჰქონდა „ნეროაძურის“ ხელმძღვანელობასთან და ხუან სებასტიან ვერონთან, რასაც ეროვნულ ნაკრებთან ერთად, უღიმღამო მუნდიალი მოჰყვა.

„მომავალი სეზონი ნამდვილად განსხვავებული იქნება. გარკვეული პრობლემები მოგვარდა და აღარც ტრავმა მაწუხებს. ახლა მხოლოდ თავდაუზოგავი ვარჯიში მჭირდება, რასაც ვაკეთებ კდეც, თანაც ისეთი მწვრთნელების ხელში, როგორიც რობერტო მანჩინია და მისი თანაშემწე სინიშა მიხაილოვიჩია. ჯერ მხოლოდ 24 წლის ვარ და ბევრი უნდა ვისწავლო იმ ორი ტაქტიკოსისგან, რომლებიც თავის დროზე დიდი ფეხბურთელები იყვნენ“ — განაცხადა ბრაზილიელმა.

მოგეხსენებათ, „ინტერი“ უკვე ახალი მაისურებით თამაშობს, რომელზეც გასული სეზონის სკუდეტოცაა გამოსახული. „იმპერატორს“ აზრი ამაზეც ჰკითხეს.

„სკუდეტო „იუვენტუსმა“ მოიგო, მაგრამ გაირკვა, რომ არასწორი გზით. ლოგიკურად ტიტული ჩვენ ვგეკუთვნის. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ბევრად უფრო გამიხარდება, როდესაც ჩემპიონები რეალურად, მინდორზე გავხდებით“ — დასძინა ადრიანომ.

ძოკი კანდელაკი

... გუშინ ერნან კრესპო „ინტერში“ გადავიდა.

რონალდინიო ფურცელი

La Gazzetta dello Sport

Milan, 4 pere al Bayern

Super Miccoli, Liverpool a casa

Milla di Carit. Happy hour in pole position.

ფურცელს შეახეთქა

Corriere dello Sport

Totti e la Roma sempre più su

Fiorentina: Diana Assalto a Bojinov

Trezeguet da record

Resiste solo l'Inter: vittoria a Lecce con Figo-Stankovic

Valentino a lezione di Ferrari

Ecco Papadopulo, Palermo contestato

რონალდინიო იტალიური გაზეთები „ლა გაძეტა დელო სპორტი“ და „კორიერე დელო სპორტი“ გადარია. აპენინური სპორტული მედიის ორი ღირსეული წარმომადგენელი ერთმანეთს, ბარსელონელი კიჭას „მილანში“ სავარაუდო გადასვლის ამბავზე წაეკიდნენ

ამ გაზეთების დაპირისპირებას ისიც ამწვავებს, რომ მეტოქე გუნდებს გულშემატკივრობენ — „ლა გაძეტა დელო სპორტს“ „მილანი“ უყვარს, ხოლო „კორიერე დელო სპორტი“ დედაქალაქური „რომას“ ქომაგია. სწორედ „კორიერემ“ დააქუხა პირველად, რონალდინიოს ვითომ „სან სიროზე“ გადასვლის ამბავი — „მილანს“ შევჩენკო „ჩელსიში“ გაექცა და ბერლუსკონის გუნდის გასაძლიერებლად, „ბარსელონადან“ 125 მილიონ ევროდ რონალდინიოს წამოყვანა უნდაო.

სენსაციურ ცნობას უმალ „მილანის“ გულშემატკივარი მედია გამოეხმაურა — „კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი, აღნიშნავს, რომ რონის ყიდვა შეუძლებელია. „მილანი“ 125 მილიონი ევროს გადახდას არ აპირებს“ — გამოაცხადა „ლა გაძეტა დელო სპორტმა“ და მაგალითად კატალონიური „სპორტის“ თავფურცელი მოიყვანა, რომელშიც ეწერა: „იტალიელები იტყუებიან. რონალდინიო „კამპ ნოუს“ დატოვებას არ აპირებს...“

„კორიერე დელო სპორტი“ კი თავისას მაინც არ იშლის. რომაული გაზეთის ცნობით, „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და, საერთოდ, „როსონერის“ თავკაცობა, რონალდინიოს ხელში ჩაგდების სრუვილმა გააგიჟა და ერთი სული აქვთ, სანამ ჯიბიდან 125 მილიონს ამოიფერთხავენ...

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო პერიოდში, „ლა გაძეტა დელო სპორტს“ მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაუკარგავს, „კორიერეს“ კი, პირიქით, ბევრი შემატება. ასეც ხდება, ვინც უფრო სკანდალურ საინფორმაციო ბომბს ააფეთქებს...

და რონალდინიო?

„შეიძლება, როცა „დავბერდები“, აშშ-ის რომელიმე კლუბშიც წავიდე სათამაშოდ, მაგრამ ახლა „ბარსელონაში“ თავს დიდებულად ვგრძნობ, ეს გუნდი მიყვარს და „კამპ ნოუს“ მიტოვებას არც „მილანის“ და არც სხვა რომელიმე გრანდის გამო არ ვაპირებ.“ — აცხადებს ბრაზილიელი.

ლადო ხომერიკი

ფრთხილად, უეინ!

უეინ რუნი გააფრთხილეს, დამშვიდდი თორემ მინდორზე თვეობით ვერ გახვალო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ის კიდევ ერთხელ გააძევეს მინდვრიდან პარასკევს, ამსტერდამის ტურნირზე.

„პორტუსთან“ მატჩში მან მაღალ ბურთზე იდაყვი მოიხმარა უშნოდ და მსაჯმაც არ დააყოვნა. ამბობდნენ, რუნის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელისო. იმავე თამაშში პოლ სქოულზიც დაითხოვეს მინდვრიდან, თუმცა „მანჩესტერმა“ მაინც მოიგო.

„მანჩესტერს“ ჯანზე ვერა ჰყავს ჰაინცე და გარი ნევილი, ამსტერდამში კი რიო ფერდინანდი და მაიკლ კარიკიც დაუშავდნენ. შესაძლოა, ექვსივე ჩამოთვლილმა პრემიერლიგის გახსნის თამაშიც კი გამოტოვოს.

კლუბმა თავად გააფრთხილა რუნი, მიზეზი კი ის არის, რომ ის უკვე მსაჯთა სამიზნეა.

„მანამდე პორტუელმა სოლსკიაერს ჩაარტყა იდაყვი და მსაჯს წარბიც არ შეუხრია — თქვა სერ ალექსმა — სხვაობა ორ მომენტს შორის ის იყო, რომ მეორეში რუნი მონაწილეობდა“.

ინგლისში სეზონის დასაწყისი ფრიად უცნაური გამოდგა. ბობი რობსონს, ინგლისი დაემართა, ავად შეიქნა მანჩესტერელი ლუკ ჩედვიკი და აი, „ევერტონის“ ნახევარმცველი ენდი ვან დერ მეიდეც ცუდად გახდა. ჰოლანდიელი ვარსკვლავი საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც ის ამტკიცებდა, რომ მისი სასმელი იყო მონამლული

მოწამლული ჰოლანდიელი

ვან დერ მეიდემ თავი ცუდად შინ, მერსისაიდში, ვირალში, გვიან ღამით იგრძნო. მისმა გელფრენდმა სასწრაფოდ დარეკა პოლიციაში. მიზეზი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ სასმელით მოწამვლა გახლდათ.

როგორც ირკვევა, ფეხბურთელმა წინა საღამოს ლივერპულის ფეშენებელურ „ალბერტ დოკ არეაში“ გაატარა დრო. როგორც მერსისაიდის პოლიციის პრეს ატაშემ განაცხადა, გამოძიება დაწყებულია.

„ჩვენ ღამით, 2 საათსა და 40 წუთზე დაგვირეკეს. დარეკა ქალმა და თქვა, რომ მისი მეგობარი მოიწამლა, რადგან მოწამლული სასმელი დალია. ავადმყოფი წაიყვანეს „ეროუ პარკ ჰოსპიტალში“. გამოძიება ლივერპულის ცენტრში ყველა ბარს შეამოწმებს“.

დღით ოფიციალური განცხადება გაკეთა „ევერტონმაც“. კლუბი წერს, რომ ვან დერ მეიდეს გამოჯანმრთელების პროცესს საავადმყოფოს ექიმები აკვირდებიან, ხოლო მომხდარზე გამოძიების დასრულებამდე ვერანაირ კომენტარს ვერ გაკეთებს.

პაპუნა კედია

ელისი წავა

„ასტონ ვილას“ პატრონმა დუგ ელისმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელად მარტინ ონილი მყავს, „ვილას“ მაინც გავყიდიო.

ძუნწმა თავმჯდომარემ ასეთი რამ, ამერიკელ რენდი ლერნერის ხალხთან შუა მოლაპარაკებისას თქვა, ლერნერი 64 მილიონ გირვანქას იხდის კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტში.

„უკვე 82 წლის ვარ და შარშან აქეთ ხუთი ოპერაცია გავიკეთე — თქვა ელისმა — კლუბის პატრონობა სულ უფრო მიძნელდება. რენდი საქმიანი კაცია და მგონი, ორიოდ კვირაში „ვილას“ პატრონიც შეიქნება“.

ირაკლი გამყრელიძე

სერ ბობი კარგადაა



სერ ბობი რობსონი, რომელსაც გუშინწინ სისხლი ჩაექცა, მომჯობინების გზას აღგას. შაბათს ის იფსვიჩის სტადიონზე იყო მატჩის საცქერლად და მარცხენა მხარის დამბლაც იქ დაემართა.

თუმცა, მისმა ექიმმა გარი რაიმანმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა: „სერ ბობი ძალიან კარგადაა. კარგად ეძინა და ისაუზმა. მალევე გავწერთ“.

რობსონს გვერდიდან არ შორდება მეუღლე ელზა, მომჯობინებამ კი ყველა გაახარა.

ბრწყინვალის აყვავება სერიაში

ტურინი გავარდა ტურინი დარჩა

ტურინში ასეთი ამბებია: „ტორინო“ სერია **A**-ში აღზევდა, „იუვენტუსი“ კი სერია **B**-ში ჩაადგეს. ეს, ცხადია, ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ ტურინული ქიშპის კუთხით არ შეგვიხედავს.

„დიახ, ჩვენ სერია **A**-ში ღირსეულად ავედით, „იუვენტუსი“ კი ლიგიდან გააგდეს, მაგრამ ჯობს ამ თემაზე აღარაფერი ვთქვათ — განაცხადა „ტორინოს“ პრეზიდენტმა უმბერტო კაირომ — ბედნიერი ვარ უმაღლეს დივიზიონში რომ ვითამაშებთ, თუმცა ტურინული დერბი გულს დამაკლდება“.

„ტორინომ“ სერია **A**-ში თამაშის უფლება „მანტოვასთან“ დაძაბულ და დრამატულ პლეი-ოფში გამარჯვების წყალობით მოიპოვა, რაც ბევრის აზრით ფრიად გასაკვირი ამბავი გახლდათ, ვინაიდან შარშან ამ დროს კლუბი უბრალოდ აღარ არსებობდა, გაკოტრებული იყო და ახალი მეპატრონის წყალობითღა მოითქვა სული.

„შარშან აგვისტოს შუა რიცხვებში შევკრიბე გუნდის ხელმძღვანელობა, 20 აგვისტოს ფეხბურთელები მოვიყვანე, ხოლო 27-ში უკვე სერია **B**-ს შეჯიბრებაში ჩავერთეთ. თამაში ისე დავიწყეთ, რომ არ გვქონდა ოფისი, არ გვყავდა მუშები, არ გვონდა ბურთები და მაისურებიც კი. ამიტომ, სერია **A**-ში აღზევება უბრალოდ სასწაულად მიმაჩნია. ეს სასწაულზე მეტიც კი იყო“ — განაგრძო უმბერტო კაირომ.

„ბრწყინვალემ“ ბოლო წლების განმავლობაში მართლაც ბევრი გაჭირვება ნახა, მაგრამ, როგორც ჩანს საბოლოოდ მაინც იპოვა გამოსავალი და ისეთ გზას დაადგა, მის დიდ წარსულს რომ ეკადრება.

„ღღეს „ტორინოში“ უკვე 50 ადამიანი მუშაობს. ამ ხალხში ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ. ახლა ვიწყებთ სკაუტების ჯგუფის შექმნას, რათა მომავალში კიდევ უფრო ნიჭიერი მოთამაშეები მოვიზიდოთ. იმითაც ვამაყობთ, რომ სერია **B**-ში მყოფები, მაყურებელთა დასწრებით მთელ იტალიაში მეშვიდე ადგილზე გავედით“.

აღსანიშნავია, რომ „ტორინომ“ ამ ზაფხულზე უკვე იყიდა რამდენიმე საინტერესო და, რაც მთავარია, ცნობილი ფეხბურთელი. მაგალითად, სიმონე ბარონე, „მილანის“ ყოფილი მეკარე კრისტიან აბიატი და „ფიორენტინას“ მცველი, ცნობილზე ცნობილი ჯუზეპე პანკარო, თუმცა პრეზიდენტი წინ იყურება:

„თავდამსხმელი მაინც გვაკლია. ერთი-ორი კარგი მცველიც არ გვაწყენდა, თუმცა ნათქვამი მაქვს, რომ ეს სეზონი მხოლოდ სერია **A**-ში თავის გადარჩენისა არ იქნება. მე ასეთი მცირე რამ არ მაკმაყოფილებს“.

საინტერესოა, რომ ეს სეზონი ტურინულ ფეხბურთში ისედაც დიდი ცვლილებებისაა. კერძოდ, „სტადიო დელე ალპიზე“ სარეკონსტრუქციო სამუშაოები იწყება და „ტორინოს“ ძველ, მშობლიურ „სტადიო კომუნალეზე“ მოუწევს თამაში.

„მაგრამ ეს ჩვენთვის მეტად პატარა სტადიონია — დასძენს კაირო — გასულ სეზონში, სერია **B**-ში 19 ათასი მხოლოდ აბონემენტის მფლობელი გვყავდა. იქნებ, ვინმემ ამიხსნას, ისეთ დიდ ქალაქს, როგორიც ტურინია, რატომ უნდა ჰქონდეს ქვეყანაში ტევადობით 24-ე სტადიონი? ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში მნიშვნელოვან თამაშებს „დელე ალპიზე“ ჩავატარებთ. რა თქმა უნდა, ამისათვის „იუვენტუსს“ ქირას გადავუხდით“.

პაპუნა კედია

კრისტიან აბიატი

ჯუზეპე პანკარო

მერიდასთვის ბრძოლა თოფიანმა მოიგო

ფრან მერიდა

ინგლისურმა „არსენალმა“ ახალგაზრდა, ნიჭიერ ესპანელ ნახევარმცველ ფრან მერიდასთვის ბრძოლა მოიგო. 16 წლის ფეხბურთელი ლონდონშია და კონტრაქტის ბოლო დეტალებს ათანხმებს. მან უკვე „მეთოფეების“ ახალგაზრდულ გუნდშიც ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა.

მერიდა „ბარსელონას“ აღზრდილია, ფრანსესკ ფაბრეგასის დარად, რომელიც ახლა „არსენალის“ ერთ-ერთი ლიდერია. მას „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ უტრიალებდნენ, მაგრამ „მეთოფეებმა“ ყველას დაასწრეს. კატალონიელები კი ამან გააბრაზა, ნიჭიერ და ჩვენ აღზრდილ მოთამაშეს მერამდენედ გვართმევენო. „ბარსას“ ხელმძღვანელობა აპირებს უეფას მიმართოს, რათა მომავალში ამგვარი ფაქტების თავიდან ასაცილებლად ზომები მიიღონ და რაღაც მექანიზმი შეიმუშაონ.

საერთოდ, „არსენალს“ სჩვევია ტრანსფერების ისე გაჩარხვა, რომ სხვადასხვა კლუბების გაბრაზება გამოიწვიოს. ძირითადად, ახალგაზრდა ფეხბურთელების შემთხვევაში, რომლებსაც არსენ ვენგერი დიდ ყურადღებას აქცევს. ასე იყო ნიკოლას ანელკას, მეტიუ ფლამინის და ფაბრეგასის შემთხვევაშიც, თუმცა ეს ვენგერსა და კომპანიას, ალბათ, ნაკლებად აღელვებს. მთავარია, 16 წლის ესპანელმა შესაძლებლობების სრულად გამოვლენა შეძლოს და გაცემული ავანსები გაამართლოს.

კოტი კანდელაკი

ჩემპიონთა ლიგა. 2006-2007

ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი ეტაპის დასასრული

დინამო (ხორვატია) — არსენალი (ინგლისი)
აუსტრია (ავსტრია) — ბენფიკა (პორტუგალია)

იენს ლემანი დისკვალიფიცირებულია

ზაგრებში ანრის ვერ ნახავენ

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი დღეს ორი მატჩით იწყება. წინა გათამაშების ფინალისტი ლონდონის „არსენალი“ ხორვატიას, კერძოდ, ზაგრების „დინამოს“ სტუმრობს, ხოლო ჩემპიონთა ლიგის (თასის) ორგზის გამარჯვებული და ხუთგზის ფინალისტი ლისაბონის „ბენფიკა“ ვენაში „აუსტრიას“ ეწვევა.

„არსენალს“ რამდენიმე ლიდერი დააკლდება და ხორვატებს პირველ მატჩში ახალგაზრდული გუნდით დაუპირისპირდება. იენს ლემანი, ეშლი კოული და ფრედი ლიუნგბერგი დისკვალიფიკაციის გამო არ იქნებიან, ხოლო „მეთოფეების“ კაპიტანმა ტიერი ანრიმ მუნდიალის მერე დაისვენა და ახლა ისევ ეროვნულ ნაკრებში უწევს ყოფნა. მომავალ კვირაში საფრანგეთს ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი ელის.

„ისეთ ფორმაში არ ვართ, როგორშიც ამ დროს უნდა ვიყოთ. ეს მსოფლიოს ჩემპიონატმა, უფრო მეტად კი ფიფამ გამოიწვია, რომელიც სანაკრებო თამაშებს სეზონის დაწყებას ამთხვევს. ანრის ვერაფერს მოვთხოვ, რადგან მან მუნდიალზე ითამაშა და მომავალ კვირაში ისევ სანაკრებო მატჩი ელის. თუმცა ამ ყველაფერთან შეგუება მოგვიწევს და მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე მზად არ ვართ, ჩვენი შესაძლებლობების გვჯერა და ვეცდებით, მეტოქის მინდორზე რაც შეიძლება, მეტი გოლი გავიტანოთ“ — თქვა ლონდონელთა მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

„მეთოფეების“ მთავარი იარაღი, ალბათ, სესკ ფაბრეგასისა და რობინ ვან პერსის დუეტი იქნება. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინ ჰოლანდიური „ალკმაართან“ 3:0 მოგებულ ამხანაგურ მატჩში დაამტკიცა, რომ შესაშურ ფორმაშია.

არსენ ვენგერი: „ამ მატჩის მნიშვნელობა კარგად გვესმის და „დინამოც“ კარგი გუნდია, მაგრამ მჯერა, ჩვენ გავიმარჯვებთ და ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდებით. თუმცა მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვითამაშოთ“.

ვენის „აუსტრია“ კი ყველანაირად შეეცდება, საკუთარ „ფერანც ჰორზე“ დამაჯერებლად მოუგოს „ბენფიკას“ და ჯგუფური ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგას. ავსტრიელებს ამის კარგი შანსი ეძლევათ, რადგან ლისაბონელებს შემადგენლობაში პრობლემები აქვთ.

„ბენფიკას“ მწვრთნელ ფერნანდო სანტოსს განსაკუთრებით დაცვასა და თავდასხმაში უჭირს. გარემარბენები — ლეო და ალსიდესი დაშავებულნი არიან. ფორმაში მხოლოდ ორი მცველია. ხოლო შეტევაში „არწივებს“ ორი ლიდერი დააკლდებათ. იტალიელ ფაბრიციო მიკოლის ტრავმა აქვს, სიმაო საბროსა კი ისევ სხვა კლუბში გადასვლაზე ფიქრობს და სატრანსფერო ამბების გამო ლისაბონში რჩება. მიუხედავად ამ ყველაფრისა, პორტუგალიელთა განწყობა ოპტიმისტურია.

გიორგი კაკაბაძე

ჩელსის ბოლო ამერიკული: 0:1

ამერიკაში სეზონისწინა ტურნეზე მყოფმა „ჩელსიმ“ უკვე ერთი ლიდერი მოისაკლისა: ჩიკაგოში ამერიკულ „ოლ სტარზთან“ თამაშისას ჯო კოულმა მუხლი დაიშავა.

„ჩელსიმ“ 0:1 წაგო ამერიკის ლიგის ვარსკვლავებთან: გოლი კანადელმა დუეინ დე როსარიომ გაიტანა და ჟოზე მაურინიუს ქებაც დაიმსახურა. ეს იყო „ჩელსის“ ბოლო თამაში ამერიკულ ტურნეში.

კოული შეცვლაზე შევიდა და ხუთ წუთში ტრავმაც მიიღო. მაურინიუსაც ეს დაურჩა სადარდებელი და არა წაგება: „ექიმთა პასუხი არ ვიცი, მაგრამ ყველანი ვღელავთ.“ მიხაელ ბალაკი და ანდრეი შევჩენკო სასტარტოში იყვნენ, ითამაშეს სალომონ კალუმაც და ჯონ ობი მიკელიმაც.

შევჩენკოს კვლავაც მუხლი აწუხებს და მძიმე საცქერია.

ირაკლი გამყრელიძე

ბედზე გამარჯვება

...ვინც საერთოდ არ მონაწილეობდა ჩემს საფეხბურთო აღზრდაში, ეს დედაჩემი მარლუსია იყო. დედა სახლის საქმეებით გახლდათ დაკავებული და გარეთ თითქმის არ გამოდიოდა. საერთოდ, არ მოსწონდა ჩვენ რომ ფეხბურთზე ვგიჟდებოდით, უნდოდა, მის შვილებს სწავლისთვის მეტი ყურადღება დაეთმოთ. არც სტადიონზე ჩემი ხშირი ვიზიტი და ბილეთში ფულის „გადაყრა" ეხატებოდა გულზე და მამაჩემი რომილდოც ამის გამო ჩუმად ყიდულობდა გრძელვადიან აბონემენტებს.

გასაკვირია, მაგრამ მარლუსიას ჩემი საფეხბურთო მომავლისადმი დამოკიდებულება სწორედ მამის გარდაცვალებამ შეცვალა. რომილდოს შვილისადმი მხარდაჭერა დედამ, ქმრის სიკვდილის შემდეგ, მის თავისებურ ანდერძად მიიღო. მარლუსიას დამსახურებაა, გუნდიდან რომ არ გამომაგდეს — მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში მწვრთნელი თვლიდა, რომ ფეხბურთში გამოუსადეგარი ვიყავი და დათხოვნას მიპირებდა, დედამ კი გააფთრებით დამიცვა და ისევ ბურთთან და მოედანთან დავრჩი...

დიდი ფეხბურთი ჩემთან ძველი, გაფუჭებული ტელევიზორის საშუალებით მოვიდა. კადრები ერთმანეთში ირეოდა, ხმა შიშინებდა, მაგრამ მაინც ხარბად შევცქეროდი ეკრანზე ბრაზილიური და უცხოური გრანდების თამაშს... ხანდახან კი მეგობართან გადავდიოდი, მას უკეთესი ტელევიზორი ჰქონდა და ფეხბურთს მშვიდად ვუყურებდით. ყველაზე მეტად „ფლამენგოს" თამაშებს უჩვენებდნენ — მაშინ ამ გუნდს ზიკო, ანდრადე, ლეანდრო და სხვა ჯადოქრები ჰყავდა. მათი მაგიის შემხედვარე, მეც „ფლამენგოს" ფეხბურთელად წარმოვიდგენდი თავს — ვითომ ალისფერ-ცისფერი მაისურა მეცვა და ბურთს ზიკოსთან ერთად დავდევდი „მარაკანაზე"...

ფეხბურთის გარდა სხვა თამაშებიც გვქონდა. ერთ-ერთმა მათგანმ მარჯვენა ფეხზე საკმაოდ დიდი იარა დამიტოვა და მადლობა ღმერთს, მთელი ცხოვრება კოჭლი რომ არ დავრჩი... მეხანძრეობას ვთამაშობდით. ჩვენი სახლის გვერდზე ნანგრევებში ორმეტრიან კედელთან უნდა მიგვერბინა და ზედ ავბობღებულიყავით, გვენახა „ხანძარი" სად იყო. ერთხელ კედელთან ბოლო მივვარდი და ფეხზე აგურების მთელი გროვა დამახვავდა, ადრე ასულ „მეხანძრეებს" რომ ჩამოუცვივდათ. ჰოსპიტალში გამაქანეს და ექიმმა ფეხზე 16 ნაკერი დამადო... მისი სიტყვები ახლაც მესმის: „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულხარ, პატარავ. ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ნანგრევები ვენებს გადაგიჭრიდა და ძვალსაც დაგილეწავდა..."

თუმცა ბედი ყოველთვის ასე როდი მწყალობდა.

მამა

სულ იმას ვიმეორებ, რომ ჩემი, როგორც პიროვნების ფესვები ბავშვობიდან მოდის, გაჭირვებიდან და ილუზიებიდან, სადაც ფეხბურთი პირველ ადგილზე იდგა. ხოლო მამაჩემი ჩემს მეხსიერებაში მუდამ იმ მებაღედ დარჩება, რომლის დამსახურებაცაა, რომ ფესვები მძლავრ ხედ გადაიქცნენ. რომილდო სერიოზული კაცი იყო, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, შრომა უყვარდა და ოჯახისა და ახლობლებისთვის მსხვერპლის გაღება შეეძლო. ასე მარტო მე კი არ ვთვლი, არამედ ყველა ის ადამიანი, რომლებიც მამაჩემს იცნობდნენ.

მამას ჩვენთვის ცხოვრებაში თითიც არ დაუკარებია და წონასწორობასაც მარტო მაშინ კარგავდა, როცა ფეხბურთს ეხებოდა საქმე. რაღაცნაირად, უფროსი მეგობარივით იყო ჩვენთან — ტყუილად ხომ არ დაგვარქვა რიკარდო, რინალდო და რივალდო — სამივე სახელი რ-ზე იწყება, რომილდოს მსგავსად.

1989 წლის ექვსმა იანვარმა ჩემი გულის ნაწილი მოკლა, რასაც ვერასდროს გავაცოცხლებ. ხალხს, როდესაც მამაზე მეკითხებიან, დარწმუნებული ვარ, სიტყვაზე გამომხატველად თვალებით ვპასუხობ. პატარა ბავშვები აღარ გვეთქმოდა, მაგრამ რომილდოს მაინც ხელში ავყავდით და ისე გვკოცნიდა, როგორც ახალდაბადებულებს... ჩემს შვილებთანაც ისე ვიქცევი, როგორც ჩვენ მამა გვექცეოდა.

ფეხბურთელიც, შეიძლება ითქვას, მისი გულისთვის გავხდი. მამასულ მეუბნებოდა, რომ ჩემში ნამდვილ პროფესიონალს ხედავს. თუმცა, როცა გარდაიცვალა, ბურთისთვის ნაკლებად მეცალა. ოჯახს უნდა დავხმარებოდი. დედას ისე უყვარდა მამა, რომ მეორედ გათხოვებაზე არც უფიქრია, არადა, ბრაზილიაში ხელმეორედ ქორწინება ცოდვად არ ითვლება. დედაჩემმა იცოდა, რომ ასეთი ადამიანის სხვა კაცით შეცვლა შეუძლებელი იყო. ოჯახის მარჩენალის ტვირთიც ერთად დაგვაწვა.

მამამ დახვეწა აგრეთვე, თუმცა უნებლიედ, ჩემი ნიჭი მათემატიკაში. მკაცრი ცხოვრება გვქონდა და რომილდოს ხშირად უწევდა ოჯახის ვალების დათვლა. ამ დროს გვერდით ვეჯექი და პროცენტებს და კრედიტებს მასთან ერთად ვვანგარიშობდი. პატარა რივალდო მამის ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

თუმცა ყველაზე მეტად ფეხბურთმა დაგვაახლოვა. შაბათობით უბნების თამაშებს ესწრებოდა და ვაი, იმას, ვინც მამის ფავორიტ რივალდოს ატკენდა რამეს... რომილდო თავად არ იყო ძლიერი ფეხბურთელი, ბავშვობისას ჩემი ბებია, ანუ დედამისი ბურთს უმალავდა და აიძულებდა, ესწავლა. მამა დედაჩემთან კამათში ამიტომაც იჭერდა ჩემს მხარეს — ბიჭს წიგნების კითხვაზე მეტად ბურთის თამაშის ნიჭი აქვსო, ეუბნებოდა.

უკანასკნელი გამომშვიდობება

ის დღე ძალიან ნათლად მახსოვს, თითქოს ვიცოდი, რომ მამას ბოლოს ვხედავდი. სადღაც დილის ათ საათზე სახლიდან გამოვედი და რომილდოს ქუჩაში შევხვდი. ჩანთაში ხილი, ბოსტნეული და რაღაც სხვა პროდუქტები ჰქონდა — მამამ ეს წინასწარ იყიდა, დედასთან ერთად რესიფეში უნდა წასულიყო. ორიოდე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს და ასე დავცილდით...

რესიფეში ბანკში უნდა მისულიყვნენ, დედაჩემმა ნათესავებიდან რაღაც პატარა მემკვიდრეობა მიიღო და ის უნდა გადაეფორმებინათ. ბანკში რიგი იყო, ასე ორმოცდაათ კაცამდე. მამაჩემმა დედას უთხრა, ადგილი დაეკავებინა და თვითონ მუნიციპალიტეტში წავიდა, დროს არ დაკარგავ და ოფისში წავიმუშავებო. როცა სამუშაო დაამთავრა, ნახა, რომ ნახევარ საათზე მეტი გასულიყო. რომილდო მუნიციპალიტეტის შენობიდან გამოვიდა და ბანკისკენ გაიქცა, შეეშინდა, რიგში არ დაეკარგა ადგილი. საერთოდ, მოწესრიგებული კაცი გახლდათ, თუმცა იმ დღეს იჩქარა და ქუჩაში მანქანებისთვის თვალყური არ მიუდევნებია...

ავტობუსის მძღოლმა დამუხრუჭება ვერ მოასწრო. ბედმა ყველაზე დიდი დარტყმა მაშინ მომაყენა.

გაგრძელება იქნება

პორტში შეჭრილი სოლი

როგორც იქნა გადაწყდა სოლ კემპბელის ამბავი. ბრიტანული პრესის ცნობით, იგი „პორტსმუთში" ერთი წელი ითამაშებს, მომავალ გაზაფხულს კონტრაქტის გახანგრძლივების პერსპექტივით. 31 წლის ფეხბურთელმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და ყველაფერი მოგვარებულია



„პორტსმუთს" კემპბელი არაფერი დაუჯდება, რადგან იგი თავისუფალი აგენტია. ამიტომ „ულრატონ პარკის" ბინადრებს გამოცდილი მცველისთვის ნორმალური ხელფასის გადახდა არ გაუძნელდებათ. ამბობენ, იგი კვირაში 60 ათას გირვანქას მიიღებსო.

შეგახსენებთ, რომ კემპბელი 2001 წელს „ტოტენჰემიდან" „არსენალში" გადავიდა, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. მან „მეთოფეების" მაისურა 197-ჯერ მოირგო და გუდთან ერთად რამდენიმე ტიტული მოიგო. თუმცა გასულ სეზონში, ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა და კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა. „პორტსმუთის" თავკაცი ჰარი რედნაპი კი თვეზე მეტი ეჩიჩინა, ჩვენთან გადმოდიო და, როგორც ჩანს, თავისას მიაღწია.

„პორტსმუთი", საცაა, „მანჩესტერ სიტის" მცველ სილვენ დისტინაც ჩაიგდებს ხელში. რედნაპი მზადაა, მასში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. გამოცდილ მწვრთნელს ძალიან უნდა, დაცვაში კემპბელი-დისტინის წყვილი იყოლიოს. გარდა ამისა, პორტსმუთელები „სიტისა" და ინგლისის ნაკრების ვეტერანი მეკარით, დევიდ ჯეიმსითაც არიან დაინტერესებულნი.

გიორგი ძაძაგაძე

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		8 აგვისტო						
23:00	1	კრისტალ პალასი-საუთენდი	1.55	3.20	4.80	1.04	1.17	1.91
22:45	2	კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი	2.35	3.00	2.55	1.31	1.22	1.37
22:45	3	კოლჩესტერი-პლიმუთი	2.25	3.00	2.70	1.28	1.22	1.42
22:45	4	ჰალი-ბარნსლი	1.85	3.10	3.65	1.15	1.22	1.67
22:45	5	ლესტერი-ბარნლი	1.82	3.00	3.50	1.13	1.19	1.61
22:45	6	ნორვიჩი-პრესტონი	1.90	3.00	3.40	1.16	1.21	1.59
23:00	7	ქრ-ლიდსი	2.75	3.00	2.20	1.43	1.22	1.26
22:45	8	უენსდი-ლუტონი	2.10	3.15	2.80	1.25	1.20	1.48
22:45	9	სტოკი-დერბი	2.25	3.00	2.65	1.28	1.21	1.40
22:45	11	ვულვერჰემპტონი-იფსვიჩი	1.85	3.10	3.65	1.15	1.22	1.67
		9 აგვისტო						
22:45	10	სანდერლენდი-ბირმინგემი	2.25	3.00	2.85	1.28	1.25	1.46
22:45	12	საუთჰემპტონი-ქოვენთრი	1.83	3.10	3.65	1.15	1.21	1.67
		ინგლისი. I ლიგა						
		8 აგვისტო						
22:45	24	ბლეკპული-ნოტინგემი	2.60	3.00	2.40	1.39	1.24	1.33
22:45	25	ბრედფორდი-ბრისტოლი	2.55	3.00	2.35	1.37	1.22	1.31
22:45	26	ბრაიტონი-ჯილინგემი	1.95	3.10	3.20	1.19	1.21	1.57
22:45	27	ჩელტენემი-ტრანმერი	2.30	3.00	2.65	1.30	1.23	1.40
22:45	28	დონკასტერი-ქრიუ	1.90	3.10	3.40	1.17	1.21	1.62
22:45	29	ჰადერსფილდი-როტერჰემი	1.55	3.20	4.90	1.04	1.17	1.93
22:45	30	ლეიტონი-მილუოლი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
22:45	31	ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი	2.20	3.00	2.75	1.26	1.22	1.43
22:45	32	ოლდემი-პორტ ვეილი	1.95	3.00	3.20	1.18	1.21	1.54
22:30	33	სკანთორპი-სუონსი	2.40	3.00	2.55	1.33	1.23	1.37
22:45	34	იოვილი-ბორნმუთი	1.85	3.10	3.45	1.15	1.20	1.63
		9 აგვისტო						
22:30	35	ჩესტერფილდი-კარლაილი	2.10	3.10	2.90	1.25	1.21	1.49
		ინგლისი. II ლიგა						
		8 აგვისტო						
22:45	48	აკრინგტონი-დარლინგტონი	2.35	3.15	2.45	1.34	1.19	1.37
22:45	49	როვერსი-უიკომბი	2.25	3.00	2.70	1.28	1.22	1.42
22:45	50	ბერი-ჩესტერი	2.40	3.05	2.60	1.34	1.24	1.40
22:45	51	ჰერეფორდი-ლინკოლნი	2.00	3.10	3.00	1.21	1.20	1.52
22:45	52	მაკლსფილდი-ჰარტპული	2.50	3.05	2.50	1.37	1.25	1.37
22:45	53	მენსფილდი-დონსი	2.60	3.00	2.40	1.39	1.24	1.33
22:45	54	ნოტსი-ქრიუსბერი	2.20	3.00	2.75	1.26	1.22	1.43
22:45	55	სუინდონი-ბარნეტი	1.50	3.55	6.00	1.05	1.20	2.23
22:45	56	ტორკი-როჩდეილი	1.90	3.20	3.25	1.19	1.19	1.61
22:45	57	უოლსოლი-სტოკპორტი	1.57	3.20	4.90	1.05	1.18	1.93
22:45	58	რექსემი-ვრიმსბი	2.15	3.10	2.90	1.26	1.23	1.49
		9 აგვისტო						
22:45	59	ბოსტონი-პიტერბრო	2.40	3.00	2.50	1.33	1.22	1.36
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		8 აგვისტო						
21:30	123	ალენი-ერფურტი	1.65	3.35	4.10	1.10	1.17	1.84
21:30	131	ოსნაბრიუკი-დიუსელდორფი	1.95	3.20	3.15	1.21	1.20	1.58
		9 აგვისტო						
19:00	124	ჰამბურგი(მ)-ვუპერტალი	2.15	3.20	2.75	1.28	1.20	1.47
21:30	125	კილი-მაგდებურგი	1.65	3.30	4.15	1.10	1.18	1.83
20:30	126	ემდენი-ლიუბეკი	2.45	3.15	2.40	1.37	1.21	1.36
21:30	127	ლევერკუზენი(მ)-ვერდერი(მ)	1.95	3.20	3.15	1.21	1.20	1.58
21:30	128	მიონხენგლადბახი-დინამო	3.20	3.25	1.90	1.61	1.19	1.19
21:30	129	სტ.პაული-დორტმუნდი(მ)	1.55	3.45	4.70	1.06	1.16	1.98
21:30	130	ვილელმ'ჰეივენი-ჰერტა(მ)	2.25	3.20	2.60	1.32	1.20	1.43
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		8 აგვისტო						
21:00	145	რიუტლინგენი-შტუტგარტი(მ)	2.05	3.20	2.90	1.24	1.20	1.52
21:00	146	საარბრიუკენი-დარმშტადი	1.70	3.35	3.80	1.12	1.17	1.78
		9 აგვისტო						
20:00	141	კასელი-ჰოფენჰაიმი	2.40	3.20	2.35	1.37	1.18	1.35
21:00	142	მიუნხენი1860(მ)-ელვერსბერგი	2.25	3.20	2.60	1.32	1.20	1.43
21:00	143	ფულენდორფი-ბაიერნი(მ)	2.00	3.25	2.90	1.23	1.18	1.53
21:00	144	პირმასენსი-კაისერსლაუტერნი(მ)	2.10	3.20	2.80	1.26	1.20	1.49
21:00	147	ზიგენი-ინგოლშტადი	1.60	3.40	4.30	1.08	1.16	1.89
21:00	148	კიერსი-კარლსრუე(მ)	1.65	3.35	4.15	1.10	1.18	1.85
21:00	149	ვეენი-აალენი	1.70	3.35	3.80	1.12	1.17	1.78
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		8 აგვისტო						
22:00	749	აიაჩო-ამიენი	1.80	2.80	4.20	1.09	1.25	1.67
22:00	750	კაენი-ბრესტი	1.45	3.45	5.80	1.02	1.15	2.16
22:00	751	კრეტეი-შატორუ	1.95	2.80	3.65	1.14	1.27	1.58
22:00	752	გრენობლი-გენგამი	2.10	2.75	3.25	1.19	1.27	1.48
22:00	753	გენიონი-ნიორი	1.85	2.80	3.90	1.11	1.25	1.62
22:00	754	ისტრი-დიჟონი	2.25	2.75	3.00	1.23	1.28	1.43
22:00	755	ლე ავრი-ტოურსი	1.65	3.00	4.70	1.06	1.22	1.83
22:00	756	სტრასბური-მონპელიე	1.70	2.90	4.40	1.07	1.22	1.74
23:00	757	რეიმსი-მეცი	2.75	2.70	2.45	1.36	1.29	1.28
		შვედეთი. ალსვენსკა						
		8 აგვისტო						
22:00	281	ელფსბორგი-მალმიო	2.10	3.15	3.20	1.25	1.26	1.58
		შვედეთი. სუპერეტა						
		9 აგვისტო						
20:30	291	იონკოპინგი-ნორჩიოპინგი	3.20	3.25	2.00	1.61	1.23	1.23
		ჩემპიონთა ლიგა						
		8 აგვისტო						
22:45	768	აუსტრია-ბენფიკა	2.60	3.00	2.40	1.39	1.24	1.33
23:00	769	დინამო ს-არსენალი	4.50	3.25	1.65	1.88	1.20	1.09
		9 აგვისტო						
20:00	770	ცსკა-რუმბერიკი	1.30	4.00	8.00	1.00	1.11	2.66
20:00	771	დინამო კ-ფენერბაჰჩე	1.85	3.15	3.70	1.16	1.23	1.70
20:00	772	ლილი-რაბოტნიკი	1.20	4.80	11.00	1.00	1.08	3.34
20:30	773	შახტარი-ლევეია	1.43	3.50	6.60	1.01	1.17	2.28
21:30	774	გალათასარაი-ბოლესლავი	1.40	3.70	7.20	1.01	1.17	2.44
21:30	775	ლევსკი-კიევი	2.45	2.90	2.65	1.32	1.27	1.38
22:15	776	ლიბერეცი-სპარტაკი მ	2.30	3.00	2.80	1.30	1.26	1.44
22:30	777	კოპენჰაგენი-აიაქსი	2.55	3.00	2.45	1.37	1.24	1.34
22:30	778	ჰამბურგი-ოსასუნა	1.70	3.20	4.40	1.11	1.22	1.85
22:30	779	სტანდარდი-სტიაუა	2.20	3.05	2.90	1.27	1.25	1.48
22:45	780	პარისი-აეკ	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
22:45	781	მილანი-ცრვენა ზვეზდა	1.12	5.65	12.50	1.00	1.02	3.89
22:45	782	ზალცბურგი-ვალენსია	3.20	3.00	2.05	1.54	1.24	1.21
23:00	783	ლივერპული-მაკაბი ჰ	1.10	5.80	13.00	1.00	1.01	4.01
		უეფას თასი						
		8 აგვისტო						
20:00	379	ომონია-ლიტექსი	2.10	3.10	2.95	1.25	1.22	1.51
		შოტლანდია. თასი						
		8 აგვისტო						
22:30	390	კუდენბეთი-ისტ სტირლინგი	1.10	6.20	10.00	1.00	1.00	3.82
22:30	391	ალბიონი-სტენჰაუსმური	3.45	3.45	1.80	1.72	1.18	1.18
22:45	392	როსი-სტრანრარი	1.50	3.55	4.90	1.05	1.14	2.05
22:45	393	ქუინი-კლაიდი	2.20	3.45	2.55	1.34	1.18	1.46
22:30	394	ქუინს პარკი-ჰამილტონი	4.20	3.65	1.60	1.95	1.15	1.11
22:45	396	რეითი-ერდრი	3.10	3.30	1.95	1.59	1.19	1.22
22:30	397	დამბარტონი-სტირლინგი	2.70	3.20	2.20	1.46	1.21	1.30
22:30	398	ფორფარი-ალოა	2.00	3.30	2.95	1.24	1.19	1.55
22:45	399	სტ.ჯონსტონი-ისტ ფაიფი	1.20	5.20	7.50	1.00	1.03	3.07
22:45	402	ბრეჩინი-მორტონი	2.75	3.30	2.10	1.50	1.19	1.28
22:30	403	დანდი-პარტიკი	1.95	3.10	3.20	1.19	1.21	1.57
		9 აგვისტო						
22:45	395	არბროთი-ელგინი	1.60	3.45	4.20	1.09	1.15	1.89
22:45	400	ეარი-ბერიკი	1.75	3.30	3.70	1.14	1.18	1.74
22:45	401	მონტროუზი-პიტერჰედი	3.45	3.55	1.75	1.74	1.16	1.17

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაკაზუსტეთ

თერთმეტი დღე მსოფლიოს ჩემპიონატამდე

სერბული უარი ლომგულს

ივან რადენოვიჩი (№55) ნაკრების მიღმა დატოვეს

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ათიოდ დღე რჩება და მონაწილე გუნდებიც თანდათან გარკვეულ სახეს და ფორმას იძენენ, სრულდება შემადგენლობების დაკომპლექტება.

ბოლო ორი მუნდიალის ზედიზედ მომგები ყოფილი იუგოსლავიელების, აწ კი, უბრალოდ, სერბების ბანაკიდან ხმები ძვირად გამოდის. მათ თავკაც დრაგან საკოტას შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, თუმც უკვე ცნობილია, რომ ის ვერ დაეყრდნობა ნბა-ში მოთამაშე სერბთა დიდ ნაწილს — ნბა-ელებს უარი შეუთვლიათ და, როგორც ყოველთვის, სერბებს ახლაც გაუჭირდებაც უძლიერესი შემადგენლობის თავმოყრა.

მაგრამ ამერიკაში მოთამაშე სერბთაგან ყველა როდი უბზუებს ცხვირს ეროვნულ გუნდს. სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე ამომავალ ვარსკვლავს, „არიზონა ვაილდ ქეთსის“ 208-სანტიმეტრიან ფორვარდ ივან რადენოვიჩს გულით ეწადა იაპონიაში თამაში, საკოტას ეუბნებოდა, ოღონდ წამიყვანე და ყველა მატჩში ლომივით ვიბრძოლებო, მაგრამ...

„ივანი ბევრს მუშაობდა, მაგრამ ყველა მწვრთნელისთვის დგება ის მომენტი, როცა მან შემადგენლობა უნდა შეარჩიოს და ზედმეტი ხალხი გაცხრილოს“ — თქვა საკოტამ და გაცხრილულთა შორის ეს მონდომებული ჭაბუკიც მოაყოლა.

ახლა სერბები სინგაპურს მიფრინავენ, სადაც 11-13 აგვისტოს ესპანეთთან, სლოვენიასა და არგენტინასთან ამხანაგურად ითამაშებენ.

იაპონიის მუნდიალი კი 19 აგვისტოს იწყება.

კოტე ყორღია



რონი ტურიაფი (მარჯვნივ) ფრანგებისთვის საჭირო კაცია

მამლების ასარჩევად

საბოლოო, 12-კაციანი შემადგენლობის ჩამოქნა უჭირს ფრანგთა თავკაც კლოდ ბერროსაც. ახლა მის განკარგულებაში 13 მოთამაშეა და „მამლების მწყემსი“ თავს იმტვრევს, რომელი გამოაკლოს ამ კრებულს. თავიდან მან მიზანში ცენტრი რონი ტურიაფი ამოიღო, მაგრამ ძირითადი ცენტრის ფრედერიკ ვეისის მცირედ დაშავების შემდეგ გადაიფიქრა, ეგ ბიჭი იაპონიაში იქნებ კიდევ გამომადგესო.

ტურიაფი საკმაოდ ნიჭიერ მოთამაშედ ითვლებოდა, ამერიკის სტუდენტურ ლიგაშიც გამოირჩეოდა (გონზაგას უნივერსიტეტი), მაგრამ გულის ოპერაცია გადაიტანა და საერთოდ ეჭვქვეშ დადგა მისი კარიერა. მაინც დაუბრუნდა ბურთს და მოედანს, ნბა-შიც შეაბიჯა და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ სათადარიგოთა სკამზეც დაჯდა.

ახლა კლოდ ბერომ აღარ იცის, რომელი დატოვოს თამაშგარე სიტუაციაში — 20 წლის იოჰან პეტრო, თუ 32 წლის სირილ ჟულიანი. პეტრო ნიჭიერი ყმაწვილია, ისიც, ნბა-შია, „სიეტლ სუპერსონიქსში“ და რამდენიმე კარგი თამაშიც ჰქონდა პლანეტის უძლიერეს ლიგაში. სამაგიეროდ, ჟულიანი გამოცდილებით დაზურგული ჯეტერანია, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე საფრანგეთის ნაკრებს ვერცხლის მოპოვებაშიც ეხმარებოდა.

ფრანგთა 13-კაციანი შემადგენლობა კი ასეთია — ბორის დიაუ (კაპიტანი), ტონი პარკერი, იანიკ ბოკოლო, ლორენ ფიორე, მიშელ გელაბალე, ჟოზეფ გომისი, აიმერიკ ჟენო, ფლორენ პიეტრუსი, მიშელ პიეტრუსი, სირილ ჟულიანი, რონი ტურიაფი, ფრედერიკ ვეისი, იოჰან პეტრო.

კოტე ყორღია

ლიტვამ პოლონეთი იპოვა

ლინას კლეიზა

სამუნდიალო სამზადისს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ დაუტოვებია ლიტველთა გოროზი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ანტანას სირეიკასთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა მადრიდის ოთხთა ტურნირში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა.

მასპინძელ ესპანელებთან და ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინელებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ლიტველებმა ამ ტურნირის აუტსაიდერი და მუნდიალს გარეთ დარჩენილი პოლონეთი 28 ქულით შემუსრეს.

ლიტველთაგან იყოჩაღა 20 ქულის მიტანეჭმა ლინას კლეიზამ. პოლონელებს ლიტველთა 12-ვე მოთამაშემ სულ ცოტა ერთი ბურთი მაინც ჩაუგდო.

სამზადისი სამზადისად და ლიტველებს იაპონიაში ცხელი დღეები დაუდგებათ. ისინი ყველაზე ძნელ ჯგუფში მოხვდნენ საბერძნეთთან, ბრაზილიასთან, თურქეთთან, ყატარსა და ავსტრალიასთან ერთად. ამ ექვსიდან ოთხი მერვეددფინალში გავა, ორი კი იაპონიიდან ჯგუფური ტურნირის დამთავრებისთანავე წავა.

კოტე ყორღია

მაორები არაბებით ამთავრებენ

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამზადისში სამხრეთ ამერიკის მოვლის და იქ არგენტინასთან, ბრაზილიასთან და ვენესუელასთან გავარჯიშების შემდეგ ახალი ზელანდია იაპონიაში გამგზავრებამდე კიდევ ერთ მეტოქესთან წაისპარინგებს და კვლავ მუნდიალის მონაწილესთან.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტ მაორებს ბოლო „ამხანაგურ“ მეტოქედ ყატარი შეურჩევიათ და ამ უქმეებზე არაბებს შინ ელიან. „ჩვენი მეტოქე სულაც არაა სუსტი, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი არ ყვირის — ამბობს ოკეანელთა თავკაცი ტაბ ბალდუინი — ყატარელებმა თურქეთში ოთხთა ტურნირზე მასპინძლებს ოვერტაიმში მოუგეს. ასე რომ, მათთან ნამდვილად არ გველის გასეირნება.“

სადღეისოდ ყატარი მსოფლიო რეიტინგში 28-ეა. აზიის ჩემპიონატში სპარსეთისყურელებმა ჩინეთისა და ლიბანის შემდეგ მესამე ადგილი დაიჭირეს და იაპონიის საგზურიც ასე შეხვდათ.

„თოლ ბლექსი“ (ზელანდიის ნაკრების მეტსახელი) აზიელებს ორჯერ შეეტოქება სამხრეთ ქალაქებში — დანიდინსა და ინვერკარგილში.

კოტე ყორღია



ბადრი კეთილაძის ფოტო

ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები

ვაკის აუზიდან კუალა ლუმპურისკენ

ქართული სამეული მსოფლიოსთვის ემზადება

საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრები მსოფლის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის თბილისში, ვაკის აუზში ემზადება. ეს ჩემპიონატი, რომელიც კუალალუმპურში (მალაიზია) ორი კვირის მერე დაიწყება, ჩვენი სპორტსმენებისთვის სადებიუტო იქნება.

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ დებიუტანტები იქიდან უმედლოდ დაბრუნდებიან. ასეთი მასშტაბის შეჯიბრის საპატიო კვარცხლბეკამდე მათ კიდევ გრძელი გზა უდევთ. საქმე ისაა, რომ შეჯიბრება 19-წლამდელი ასაკის სპორტსმენებისთვის ტარდება, საქართველოს ნაკრების წევრები ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი 17-17 წლისანი არიან, შოთა კორახაშვილი კი, სულაც თხუთმეტის.

აი, სულ ესაა საქართველოს ნაკრები, რომელიც, წესით და რიგით, სულ ცოტა, ხუთჯერ მეტ სპორტსმენს უნდა ითვლიდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ მწვრთნელებზე, გუდის ხელმძღვანელობაზე, ექიმზე. თუმცა ექიმი ჩვენს გუნდს არც არასოდეს ჰყოლია და წყალში ხტომაც რა ხანია, ორი მწვრთნელის, მამა-შვილ ალექსანდრე და ირაკლი ბართაიას კისერზე გადადის. როცა საჭიროა, მწვრთნელებიც ისინი არიან, გუნდის ხელმძღვანელებიც, ადმინისტრატორებიც და... ექიმებიც. ირაკლი ბართაია, ამასთან, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანიცაა.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ჩვენი გუნდი სპორტსმენთა სრული დაკომპლექტების მხრივ არ გამოირჩევა და, მგონი, არც არასოდეს ყოფილა ასეთი. თუმცა წარმატებების მხრივ წინათ გარკვეული საამყო მაინც გვქონდა. იმედია, კვლავაც გვექნება, რადგან ჩვენს წყალში მხტომელებს ვაკის აუზში ბოლო დროს სავარჯიშოდ იდეალური პირობები შეუქმნეს და ისინიც, მიუხედავად იმისა, რომ უფროსებს ეჯიბრებიან, თანდათან აუმჯობესებენ შედეგებს. ასე იყო ამას წინათ გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც, სადაც ისინი ფინალებში მოხვდნენ, რაც აქამდე მრავალი წლის განმავლობაში სანატრელი გვქონდა.

ევროპის პირელობაზე, როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, გიორგი გევორქიანი დაშავდა და ბრძოლას გამოეთიშა. ამით ჭოლა ჭანტურიამაც იზარალა, რაკიღა სინქრონულ ხტომებში გიორგი მისი მეწყვილე იყო. ახლა გევორქიანმა ტრავმა მოიშუშა და კუალა ლუმპურში იგი ჭოლასთან ერთად მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებშიც გამოვა და ინდივიდუალურშიც. ამავე დისციპლინაში გამოვა შოთა კორახაშვილიც და იგი კოშკიდანაც მოსინჯავს ძალებს. და თუ ისინი ფინალურ შეჯიბრებაშიც გააღწევენ, ეს მათთვის კარგ შედეგად ჩაითვლება, ორი წლის მერე კი მედალიც მოეთხოვებათ.

ავთანდილ ბყვიშელი

ჩახნაშვილის მარტინა ფრანკა

მაკამ იტალიელები კაფა და ...

საქართველოს პირველმა ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმა იტალიური მარტინა ფრანკას თიხაზე ITF-ის ეგიდით ჩატარებული 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი მოიგო.

გადამწყვეტ შეხვედრაში მაკამ კორტის მასპინძელი, მე-4 ნომრად განთესილი კარინ კნაპი ორ სეტში — 6:3 7:5 დაჯაბნა.

სულ, მარტინა ფრანკაში, ჩახნაშვილმა ხუთი შეხვედრა ჩაატარა. პირველ წრეში ასევე ორ სეტში — 7:5 6:4 სძლია კიდევ ერთ იტალიელს ელისა ბალზამოს. მეორე წრეში მაკას მეტოქე ტურნირის მთავარი ფავორიტი, ასევე იტალიელი ნატალი ვიერინი იყო და, მართალია, პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე წააგო, მერე ქართველმა მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა — 6:7 6:3 6:3. მეოთხედფინალში ჩახნაშვილმა ასევე სამ სეტში — 6:2 4:6 6:2 სძლია ტურნირზე „ვილდ ქარდით" მოხვედრილ ბელორუს დარია კუსტავას, მერე ნახევარფინალში 6:4 6:3 დაჯაბნა ხორვატი ნიკა ოზეგოვიჩი და ფინალს უწია.

ფინალური მატჩი კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ წვიმის გამო გადაიდო, გუშინ ჩატარდა და მაკამ მარტინა ფრანკაში მესამე იტალიელიც არ გაახარა — დამაჯერებლად მოიგო და მთავარი პრიზი მოიპოვა.

გუშინ გამოქვეყნებულ ქალთა კლასიფიკაციაში ჩახნაშვილი მისთვის უმაღლეს 211-ე ადგილზე იმყოფება. აქამდე ჩახნაშვილს საუკეთესო რეიტინგი 22 მაისს გამოქვეყნებულ კლასიფიკაციაში ჰქონდა, როდესაც 215-ე ადგილზე იმყოფებოდა და იმედია, მომავალში ქართველი ჩოგბურთელი თავის საუკეთესო შედეგს გაუმჯობესებს და პირველ ორასეულს მიუახლოვდება.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ნაბიჯი მიზნამდე

სადევისო წიწილები უნგრეთში დაითვლება

ბადრი კეთილაძის ფოტო

ლეილა მესხი და დავით ნამგალაური

დევისის თასზე საქართველოს ნაკრები წლეულს უჩვეულოდ კარგად თამაშობს. ჩვენმა გუნდმა ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ფავორიტებს — სამხრეთ აფრიკას და პოლონეთს სძლია და აქამდე მიუღწეველ პირველ ჯგუფში ასასვლელად შედარებით სუსტი უნგრეთის დამარცხებაღა სჭირდება. პოლონური შეხვედრებიდან ორ კვირაზე მეტი გავიდა, უნგრეთამდე კი თვენახევარი რჩება, თუმცა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში სადევისთასო ციებ-ცხელება ოდნავადაც არ განელებულა. დასტურად გუშინდელი პრესკონფერენციაც გამოდგება.

ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე ჟურნალისტებთან შესახვედრად ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად ნაკრების კაპიტანი გელა ელერდაშვილი, ლიდერი ირაკლი ლაბაძე და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურიც გამოცხადდნენ.

პირველი სიტყვა ფედერაციის პრეზიდენტისა იყო და მესხმაც მილოცვით დაიწყო:

„ვულოცავ ბიჭებს და ყველა გულშემატკივარს პოლონეთთან გამარჯვებას. ძალიან ძლიერ გუნდს ვაჯობეთ, თან სტუმრად და პირველი ჯგუფისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. გადამწყვეტი ბრძოლა სექტემბერში უნგრეთში გველის. იქაური ნაკრების შემადგენლობას უკვე გავეცანი და პირდაპირ გეტყვით, რეალური შანსი გვაქვს".

მილოცვას დეპარტამენტის თავმჯდომარეც შეუერთდა. იქამდე კი ნაკრების დახმარებისთვის მესხისგან თავადაც მიიღო მადლობა.

დავით ნამგალაური: „ჩვენი საჩოგბურთო წარმატებები მოულოდნელი არავისთვის აღარ უნდა იყოს. უკვე კარგა ხანია, გეგმაზომიერი მუშაობა მიდის და შედეგიც სახეზეა. მჯერა, სეზონი კარგად დასრულდება. შემდეგი წარმატების აღსანიშნავ პრესკონფერენციაზე კი ერთობლივი მუშაობის ძირიგ სიახლეებზე ვისაუბრებთ".

ნაკრების კაპიტანმა და ლიდერმა უნგრეთი საშუალო დონის გუნდად მოიხსენიეს, მაგრამ შანსებზე საუბარს მაინც არ მოჰყვნენ — პირველ ჯგუფში ასვლის რეალური შესაძლებლობა კი გვაქვს, მაგრამ საამისოდ უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. ელერდაშვილის თქმით, უნგრეთის წინ გუნდი, სავარაუდოდ, ერთი კვირით ადრე შეიკრიბება. კონკრეტული თარიღი და შეკრების ადგილი ჯერ უცნობია. ეს მნიშვნელოვანწილად ირაკლი ლაბაძის და ლადო ჩიხლაძის პირად გრაფიკზეა დამოკიდებული.

ოთარ მაღლაკელიძე

ამერიკული კითხვის ნიშანი

ირაკლი ლაბაძე ჯორტს ავსტრიაში უბრუნდება

ნაკრების ლიდერ ირაკლი ლაბაძეს პრესკონფერენციის შემდეგ უახლოეს გეგმებზეც დავეკითხეთ. ირაკლის ხომ უიმბლდონის შემდეგ პირადი შეხვედრები აღარ გაუმართავს. მიზეზი დევისის თასზე, პოლონეთში მიღებული ტრავმაა.

— პოლონელებთან პირველივე თამაშში ფეხი გადამიბრუნდა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არცთუ მსუბუქ ტრავმასთან მქონია საქმე. ჯერაც ვერ გავედი კორტზე.

— როდის შეძლებ ვარჯიშის დაწყებას?

— ამაღამ ავსტრიაში მივფრინავ. სავარაუდოდ, ამ დღეებშივე განვაახლებ მზადებას. იმედია, ტრავმა თავს აღარ შემახსენებს.

— ამერიკის ღია პირველობაზე თამაშს აპირებ?

— ჯერ ვერ გეტყვით. შეიძლება, გამოვტოვო. ასეთი ტრავმის შემდეგ პირდაპირ მაგარ საფარზე გასვლა სარისკო საქმეა და არ მინდა, მერე სანანებელი გამიხდეს. ალბათ უახლოესი ტურნირები ჩელენჯერები იქნება.

— უნგრეთის ნაკრების შემადგენლობას ალბათ შენც გადახედავდი. რომელიმე ჩოგბურთელს ხომ არ იცნობ?

— არც ერთთან არ მითამაშია და მიჭირს მათ ძალაზე საუბარი. ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ და ალბათ მებრძოლიც. გასეირნება ნამდვილად არ გველის. თან ეს დევისის თასია, მოულოდნელობებით სავსე. მიზნამდე ერთი ნაბიჯი რჩება და ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადავდგათ.

ოთარ მაღლაკელიძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბადრი კალანდარიშვილის ფოტო

ლადო ჩიხლაძე 12 საფეხურით ამაღლდა

სარეიტინგო ადი-ჩადი

გუშინ ATP-სა და WTA-ს ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და კლასიფიკაციაში მყოფმა ქართველებმა სარეიტინგო კიბეზე ჩვეული ადი-ჩადი გააჩაღეს, თუმცაღა, სამწუხაროდ, მაღლა ასვლა მხოლოდ ორმა ჩვენებურმა შეძლო, უმრავლესობა დაბლა დაეშვა, ხოლო ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე იქვე დარჩა, სადაც იყო.

ლაბაძე 265 ქულით ATP-ის განთესვის რეიტინგში კვლავაც 157-ე ადგილზეა. სამაგიეროდ, მთელი 12 საფეხურით ამაღლდა ლადო ჩიხლაძე, ვინც 55 სარეიტინგო ქულით მისთვის უმაღლეს 484-ე პოზიციაზეა.

126,5 ქულით კარიერის უმაღლეს, 211-ე ადგილზეა ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ლიდერი მაკა ჩახნაშვილიც, ვისი პროგრესიც 17 პუნქტით გამოიხატა. სამაგიეროდ, WTA-ს რეიტინგ-სიაში მოხსენებულმა სხვა ქართველებმა უკან დაიხიეს. სოფო მელიქიშვილმა ერთი პოზიცია დაკარგა და 77,5 ქულით 290-ე ადგილზე ჩაინაცვლა. ასევე ერთი საფეხურით დაქვეითდა ანა ტატიშვილიც, ვინც 71,5 ქულით 312-ეა. 21 პოზიცია დაკარგა და 20,25 ქულით 593-ე ადგილზე დაიხია სალომე დევიძემ. მანანა შაფაქიძემ (15,5 ქულა) ორი საფეხურით ჩაინაცვლა და ახლა 686-ეა. ია ჯიქია (8,5) ქულა 871-ე ადგილზეა, რაც წინა მაჩვენებელზე ექვსით უარესია.

კიდევ ოთხი ქართველი ათასეულს მიღმაა. სოფო შაფათავამ (5,25) ოთხი საფეხურით გაიუარესა მდგომარეობა და 1057-ე ადგილზე მოიკალათა; ასევე ოთხი პოზიცია დაკარგა თეონა ცერცვაძემ, ვინც 4,5 ქულით 1122-ეა; სოფო ქვაცაბაიამ თავისი სამი ქულით 1257-ედან 1269-ე ადგილზე ჩაინაცვლა, ხოლო ნანა ურუტაძე, ვისაც 2,25 ქულა აქვს, ერთბაშად 97 საფეხურით დადაბლდა და ახლა 1365-ე ადგილზეა.

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	7260
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	4930
3. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	3185
4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	3125
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2275
6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2220
7. ტომი რობრედო (ესპანეთი)	2050
8. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	1985
9. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	1925
10. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	1852
11. ენდი როდიკი (აშშ)	1745
12. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1710
13. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	1685
14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1600
15. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	1600
16. ფერნანდო გონსალესი (ჩილი)	1480
17. ტომი ჰაასი (გერმანია)	1420
18. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1385
19. რობი ჯინეპრი (აშშ)	1355
20 გასტონ გაუდიო (არგენტინა)	1300

საჩემპიონო რბოლა

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1017
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	735
3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	375
4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	355
5. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	318
6. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	309
7. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	308
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	301
9. ტომი რობრედო (ესპანეთი)	292
10. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	268
11. ტომი ჰაასი (გერმანია)	246
12. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	243
13. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	223
14. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	206
15. ენდი როდიკი (აშშ)	194
16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	192
17. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	188
18. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	175
19. გასტონ გაუდიო (არგენტინა)	166
20. ხოსე აკასუსო (არგენტინა)	161

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3692
2. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	3512
3. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)	3093
4. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2700
5. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	2134
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2060
7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1954
8. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1793
9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1656
10. ლინდსი დავენპორტი (აშშ)	1587
11. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1575
12. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1471
13. მარი პირსი (საფრანგეთი)	1411
14. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1336
15. დინარა საფინა (რუსეთი)	1286
16. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	1252
17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1053
18. ფლავია პენეტა (იტალია)	949
19. ანა იანოვიჩი (სერბეთი)	867
20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)	817

საჩემპიონო რბოლა

1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	2786
2. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	2372
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	1939
4. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	1859
5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1834
6. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	1484
7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1471
8. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1286
9. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1229
10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1064
11. დინარა საფინა (რუსეთი)	1005
12. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	929
13. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	845
14. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	712
15. ფლავია პენეტა (იტალია)	669
16. ნა ლი (ჩინეთი)	655
17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	644
18. შაჰარ პირი (ისრაელი)	579
19. ანაბელ მედინა გარიგუესი (ესპანეთი)	566
20 ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	563

მაშას კი, კიმს ვერა

შარაპოვამ კლაისტერსის ჯადო აიხსნა

კაცები
ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

ფინალი

არნო კლემანი (11, საფრანგეთი) — **ენდი მიურეი** (8, ბრიტანეთი) 7:6 6:2

ქალები
სან დიეგო. აშშ. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

ფინალი

მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — **კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) 7:5 7:5

მარია შარაპოვამ ბოლოს და ბოლოს გატეხა ბელგიური ნავსი და კიმ კლაისტერსს მეხუთე ცდიდან მოუგო. რუსი პრიმა ამ ბენილუქსელს აქამდე ოთხჯერ შეხვდა და ოთხჯერვე თავჩაქინდრულმა დატოვა კორტი. თან იმ ოთხიდან სამჯერ მარიამ კიმთან ამერიკის კორტებზე წააგო და აქედან გამომდინარე, ეს ჯადოც აიხსნა.

გუშინ შარაპოვა ახალი კუთხით გამოჩნდა — რუსმა გარკვეულწილად საკუთარ თავს უღალატა და მუდმივ რისკიან თამაშს აკურატულობა არჩია, რამაც პრინციპში გაუმართლა კიდეც. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ რუსი ამ ფინალისთვის მენტალურად უკეთესად მომზადებული გამოდგა. ეს განსაკუთრებით მეორე სეტის მიწურულს გამოჩნდა, როცა მაშამ ექვსი ბრეიკ პოინტის განეიტრალება შეძლო და ამით წელში გატეხა ბელგიელი.

მანამდე კი ძალიან უცნაური პირველი სეტი იყო, რომელშიც ქალთა ჩოგბურთში ორი საუკეთესო მოწოდების მქონე შარაპოვა და კლაისტერსი მაინდამაინც თავიანთ მოწოდებაზე თამაშობდნენ საზიზღრად — შესაბამისად მარტო პირველ პარტიაში ორივეს 7-7 ორმაგი შეცდომა დაუგროვდა. მაგრამ ამ უცნაურ გარემოსაც რუსმა უფრო მალე აუღო ალღო, კლაისტერსი სეტის უკანასკნელ გეიმში გატეხა და დაწინაურდა.

სამაგიეროდ, მეორე სეტში ორივე ჩოგბურთელი კბილებით იცავდა საკუთარ მოწოდებას, რაც კვლავ რუსს გამოუვიდა უკეთესად. შარაპოვამ ისევ ბოლო გეიმში გააკეთა ბრეიკი და სან დიეგოს ტრიუმფატორიც შეიქნა.

„მთელი კვირის განმავლობაშიც კარგად ვითამაშე და დღესაც. ვიცოდი, რომ ძალიან მძიმე ბრძოლა მელოდა, რომელსაც დიდწილად ფსიქოლოგიური მომზადება გადაწყვეტდა. მეც განსაკუთრებით ის მახარებს, რომ კიმისნაირ ჩოგბურთელს სწორედ მენტალური კუთხით ვაჯობე“ — ამას ხარობდა შარაპოვა განსაკუთრებულად.

კლაისტერსმა კი მეტოქე შეაქო: „უიმბლდონის მერე აშკარად მოუმატებია, უფრო სოლიდურადაც თამაშობს. თან უიმედო ბურთებს აღარ მისდევს, რის გამოც საკმაო ძალებს იზოგავს. სასიხარულოა, როცა ხედავ ჩოგბურთელის ასეთ ზრდას, უფრო კი დაბრძენებას“.

ეს შარაპოვას მიერ წლეულს მეორე, კარიერაში კი მეთორმეტე შოგებული ტიტულია. ამ ტრიუმფის შემდეგ მაშას საკარიერო მონაგარმა 6 მილიონს გადააჭარბა.

ვაშინგტონში კი ვეტერანმა არნო კლემანმა ტურნირი სეტის წაუგებლად განვლო, ფინალში ახალგაზრდა შოტლანდიელი ენდი მიურეი დაიფრინა და წლეულს მეორე ტიტული მოიგო. თუმც ფრანგისთვის ეს პირველი ამერიკული ტრიუმფი გამოდგა.



მაშა შარაპოვამ კარიერაში მეთორმეტე თასი ასწია

მიურეისთვის კი ეს მესამე ფინალი იყო, რომელთაგან მხოლოდ ერთხელ, სან ხოსეში მოიგო. თუმც 19 წლის შოტლანდიელს ჯერჯერობით ყველაფერი წინ აქვს და ბრედ ჯილბერტის ხელმძღვანელობით ბევრის მიღწევა შეუძლია.

კახა ლომაშვილი

ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
ბუდაპეშტი. 26 ივლისი — 7 აგვისტო

ერთიანული ბიბლიოთეკა

ლორე მანადუმ თავს ნახევარი ოცნება აჩუქა

AFP ბუდაპეშტიდან

არ იყო ევროპა საწყალი

ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო... მაგრამ ბუდაპეშტური მედლების წვიმამ მაინც გვარიანად დაასველა ისედაც სველი ფრანგი გოგო ლორე მანადუ. 20 წლის უნიჭიერესმა მოცურავემ ევროპის ჩემპიონატზე წასვლის წინ რვა სახეობაში მონაწილეობა და ამდენივე ოქროს მოპოვება დააკისრა თავის ძალუმ, მაგრამ მაინც კოხტა სხეულს.

მანადუმ ბუდაპეშტიდან 4 ოქრო და ამდენივე ბრინჯაო წამოიღო. მესამე ადგილები ძირითადად გუნდურ პაექრობებში, ესტაფეტებში შეხვდა, სადაც თანამემამულეებმა მთლად ყოჩაღად ვერ აუბეს მხარი, თუმცა საქმეში დაღლილობაც ჩაერია და ლორეს ოქროები დააკარგვინა.

ევროპირველობის ბოლო დღეც მედლოვანი გამოდგა მანადუსთვის. უკეთეს დასასრულს ვერც ინატრებდა. 400 თავისუფალი მეტრი მსოფლიო რეკორდით მოიგო. თუმც რაღა ნატვრა, ამ დისტანციაზე ძველი რეკორდიც მისი იყო. წლეულს მაისში მშობლიურ ტურში (ქალაქია) ეს მანძილი 4 წუთსა და 3,03 წამში გაცურა. ბუდაპეშტში კი 4:02,13 შედეგი და ახალი რეკორდი გამოაცხო. მისივ იყო ევროპირველობების საუკეთესო შედეგი, 4:05,70, რომელიც მანადუმ იქვე, ბუდაპეშტში საკვალიფიკაციო გაცურვაში აჩვენა. მოკლედ, 400 თავისუფალი მეტრის ხელშეუხებელი დედოფალია.

400 მეტრის ხელახლა დაპყრობიდან ნახევარ საათში მანადუ უკვე გუნდურ სახეობაში ცდიდა ძალებს — 4X100 მეტრ კომპლექსურში. აქ მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველანაირად შეუძლია ცურვა და ერთ რომელიმე სახეობაში არაა გამოკეტილი. მან თავის წილად ირჩია 100 მეტრის გულაღმა გაცურვა და ეს საუკეთესოდაც გააკეთა, მაგრამ შემდეგ სახეობებში — ბრასში, ბატერფლაისა და თავისუფალში სხვა ფრანგმა გოგონებმა პირველობა ვერ შეინარჩუნეს და წინ ორი გუნდი გაუშვეს — ბრიტანეთი და გერმანია. მედლების კომპლექტიც ამათში დანაწილდა: ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი.

კაცთა შორის ამავე სახეობაში ბრიტანელებს მხოლო მესამე ადგილი შეხვდათ, ფრანგებს — მეოთხე, გერმანელებს კი — სულაც მეშვიდე. აქ პირველ-მეორეობა ჩვენი ყოფილი „დიდი სამშობლოს“ მთავარმა მემკვიდრეებმა — რუსებმა და უკრაინელებმა გაიყვეს. იმარჯვეს რუსებმა, თან ევროპის ჩემპიონატების თავიანთივე რეკორდი 1,25 წამით გააუმჯობესეს. მსოფლიო რეკორდამდე (აშშ) გვარიანად ბევრი დააკლდათ — 4,28 წამი.

ასევე ოთხი ოქრო მოიპოვა ბუდაპეშტში გერმანელმა ქალთევზამ ბრიტა შტეფენმა. მანადუ თუ თავისუფალი სტილის საშუალო დისტანციებზე ყელყელაობს (და კიდევ სხვაგანაც) შტეფანი სპრინტში იწონებს თავს და 100 მეტრის მოგების შემდეგ უმოკლეს დისტანციაზე, 50 მეტრზეც იჩემპიონა. ამასთან ზემოთ ნახსენებ 4X100 მეტრ კომბინაციაში 100 მეტრი თავისუფალი, რაღა თქმა უნდა, მან იტვირთა თავზე და 52,75 შედეგიც აჩვენა, მაშინ, როდესაც დანარჩენ 7 მოთავისუფლეთაგან საუკეთესო შედეგი 54,21 იყო.

არაერთი მედალი ირგუნა კიდევ ერთმა ვარსკვლავგოგონამ, პოლონელმა ბატერფლაის ოსტატმა ოტილია იედრჟეჩაკმა. ტურნირის ბოლო დღეს მან ბატერფლაის უგრძესი, 200-მეტრიანი დისტანციაც პირველმა გალია და თავის წილად მესამე ოქრო დაისაკუთრა.

ნიჭიერი გოგო-ბიჭებით გაჯერებულ პოლონელთა გუნდს ერთი ოქროც შეაშველა 29 წლის ვეტერანმა მოთავისუფლემ ბარტოშ კიჟიეროვსკიმ. მან 50 მეტრი ევროჩემპიონატებისთვის სარეკორდო დროით მოიგო — 21,88 შედეგი აჩვენა და სულ ცოტა, 0,07 წამი ჩამოაჭრა მანამდელ ევროპირველობებზე უსწრაფესად გამცურავი რუსი ალექსანდრ პოპოვის რეკორდს. პოპოვი არა მხოლოდ ბებერ კონტინენტზე ყოჩობდა, მასვე ეკუთვნის 2000 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდიც — 21,64 წამი.

კოტე ყორღია

მედლების დაფა ოთხივე სახეობის (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, ღია წყალში ცურვა) მიხედვით

რუსეთი	16	7	3	26
გერმანია	12	10	5	27
საფრანგეთი	6	4	9	19
უკრაინა	6	4	5	15
იტალია	5	6	10	21
პოლონეთი	5	3	1	9
შვედეთი	3	2	0	5
ბრიტანეთი	2	6	6	14
ჰოლანდია	2	3	3	8
უნგრეთი	2	2	6	10
ფინეთი	1	0	1	2
ესპანეთი	0	4	0	4
საბერძნეთი	0	3	4	7
ავსტრია	0	2	0	2
ხორვატია	0	1	1	2
ნორვეგია	0	1	0	1
სლოვაკეთი	0	1	0	1
ბელორუსი	0	1	0	1
სლოვენია	0	0	2	2
ჩეხეთი	0	0	2	2
დანია	0	0	1	1
რუმინეთი	0	0	1	1



ბარტოშ კიჟიეროვსკიმ სიხარულისგან აუზში ტალღები დააყენა

AFP ბუდაპეშტიდან

ცურვა

400 მ. თავისუფალი. ქალები

1 ლორე მანადუ (საფრანგეთი) ---------- 4:02,13
2 ჯოანი ჯეკსონი (ბრიტანეთი) ---------- 4:07,76
3 კეიტლინ მაკკლატჩი (ბრიტანეთი) ---------- 4:08,13

400 მ. კომბინაცია. კაცები

1 ლასლო ჩეჰი (უნგრეთი) ---------- 4:09,86
2 ლუკა მარინი (იტალია) ---------- 4:14,15
3 ალესიო ბოგიატო (იტალია) ---------- 4:16,34

200 მ. ბატერფლაი. ქალები

1 პოტილია იედრჟეჩაკი (პოლონეთი) ---------- 2:07,09
2 ფრანჩესკა სეგატი (იტალია) ---------- 2:08,96
3 კატერინა ჯიაჩეტი (იტალია) ---------- 2:09,01

50 მ. ბრასი. ქალები

1 ელენა ბოგომაზოვა (რუსეთი) ---------- 31,69
2 კეიტ ჰეივუდი (ბრიტანეთი) ---------- 31,71
3 აგნეს კოვაჩი (უნგრეთი) ---------- 31,95

50 მ. თავისუფალი. კაცები

1 ბარტოშ კიჟიეროვსკი (პოლონეთი) ---------- 21,88
2 ალექსანდრ ვოლინეცი (უკრაინა) ---------- 21,97
3 დუჟე დრაგანიე (ხორვატია) ---------- 22,14

50 მ. თავისუფალი. ქალები

1 ბრიტა შტეფენი (გერმანია) ---------- 24,72
2 ტერეზ ალსამარი (შვედეთი) ---------- 24,87
3 მარლენ ვენდჰუისი (ჰოლანდია) ---------- 24,89

4X100 მ. კომბინაცია. ქალები

1 ბრიტანეთი
(მალენი მარშალი, კირსტი ბელფური, ტერი დანინგი, ფრანჩესკა პალსოლი) ---- 4:02,24
2 გერმანია ---------- 4:02,35
3 საფრანგეთი ---------- 4:03,64

4X100 მ. კომბინაცია. კაცები

1 რუსეთი
(არკადი ვიატჩანინი, რომან სლუდნოვი, ნიკოლაი სვორცოვი, ანდრეი კაპრალოვი) --- 3:34,96
2 უკრაინა ---------- 3:36,21
3 ბრიტანეთი ---------- 3:36,61

წყალში ხტომა

3 მ. ტრამპლინი. სინქრონული. ქალები

1 ნატალია უმისკოვა, ნადეჟდა ბაჟინა (რუსეთი) ---------- 314,55
2 ჰეიკე ფიშერი, დიტერი კოტციანი (გერმანია) ---------- 298,68
3 ოლენა ფედოროვა, კრისტინა იშჩენკო (უკრაინა) ---------- 292,17

10 მ. კოშკი. კაცები

1 გლებ გალპერინი (რუსეთი) ---------- 472,90
2 ჰეიკო მეიერი (გერმანია) ---------- 459,45
3 კონსტანტინ მილიაევი (რუსეთი) ---------- 415,50

ევროპის XIX ჩემპიონატი
გიოტებორგი. შვედეთი. 7 – 13 აგვისტო

AFP გეტებორგიდან

გიოტებორგის „ულევის“ სტადიონი სპორტის დედოფლის ევროპელ რაინდებს მასპინძლობს

მძლე ათლეტთა გიოტებორგული კვირეული

გუშინ შვედეთის ქალაქ გიოტებორგში მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო და კვირის ბოლომდე გაგრძელდება. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ჩემპიონატის საზეიმო გახსნა კვირა საღამოს მოეწყო, ხოლო წუხელ მედლების პირველი ორი კომპლექტი გათამაშდებოდა კაცთა შორის ბირთვის კვრასა და ქალთა 10000 მეტრზე სირბილში. ამავდროულად, ასპარეზობაში ჩაებმებოდნენ შვიდჭიდელი ქალებიც, რომლებიც 100 მეტრზე თარჯრბენში, სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრასა და 200 მეტრზე სირბილში ცდიდნენ ძალებს და თავიანთ მარათონულ შეჯიბრს დღეს დაასრულებენ სიგრძეზე ხტომით, შუბის ტყორცნითა და 800 მეტრზე სირბილით.

დღესვე კიდევ ხუთ სახეობაში გაირკვევა ჩემპიონ-პრიზიორების ვინაობა — ჯანიანი ქალები უროს გატყორცნიან, ხოლო კაცები 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, სიგრძეზე ხტომაში და 100 და 10000 მეტრზე სირბილში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით გთავაზობთ 2006 წლის სეზონში ევროპელი მძლეოსნების მიერ თითოეულ სახეობაში ნაჩვენები საუკეთესო შედეგების სიას. ეს სია თავისებური ორიენტირია ევროფორუმის მონაწილეთათვის და იმედია, ნაჩვენებ შედეგთა უმრავლესობა გიოტებორგში გაუმჯობესდება.

კაცები

100 მ.	ფრანსის ობიკველუ (პორტუგალია)	10,03
200 მ.	ფრანსის ობიკველუ (პორტუგალია)	20,18
400 მ.	ლესლი ჟონე (საფრანგეთი)	44,91
800 მ.	იგორ ბორზაკოვსკი (რუსეთი)	1.43,42
1500 მ.	ივან ჰეშკო (უკრაინა)	3.31,08
5000 მ.	ალისტერ კრეგი (ირლანდია)	13.08,97
10000 მ.	ხუან კარლოს დე ლა როსა (ესპანეთი)	27.50,11
მარათონი	ხულიო რეი (ესპანეთი)	2:06.52,2
110 მ. თარჯ.	სტანისლავს ოლიარსი (ლატვია)	13,19
400 მ. თარჯ.	პერიკლოს იაკოვაკისი (საბერძნეთი)	47,82
3000 მ. წინაღ.	ანტონიო დავიდ ხიმენესი (ესპანეთი)	8.11,55
სიმ. ხტომა	სტეფან ჰოლმი (შვედეთი)	2,34
სიგ. ხტომა	ენდრიუ ჰოუ (იტალია)	8,41
ჭოკ. ხტომა	ტიმ ლობინგერი (გერმანია)	5,90
სამხტომი	კრისტიან ოლსონი (შვედეთი)	17,62
ბირთვი	რიტგერ სმითი (ჰოლანდია)	21,62
ბადრო	ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა)	71,08
შუბი	ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია)	91,59
ურო	ვადიმ დევიატოვსკი (ბელორუსი)	82,95
20 კმ. სპ.ს.	ილია მარკოვი (რუსეთი)	2:18.18
50 კმ. სპ.ს.	დენის ნიჟეგოროდოვი (რუსეთი)	3:38.02
ათჭიდი	რომენ ბარასი (საფრანგეთი)	8416

ქალები

100 მ.	კიმ გევერტი (ბელგია)	11,04
200 მ.	კიმ გევერტი (ბელგია)	22,20
400 მ.	ოლგა ზაიცევა (რუსეთი)	49,49
800 მ.	იულია ჩიჟენკო (რუსეთი)	1.57,07
1500 მ.	იულია ჩიჟენკო (რუსეთი)	3.55,68
5000 მ.	სუსანა ვიგენი (ნორვეგია)	14.52,68
10000 მ.	ელვან აბეილეგესე (თურქეთი)	30.21,67
მარათონი	ლუდმილა პეტროვა (რუსეთი)	2:21.29,4
100 მ. თარჯ.	სუსანა კალური (შვედეთი)	12,52
400 მ. თარჯ.	ფანი ხალკია (საბერძნეთი)	53,71
3000 მ. წინაღ.	ვიოლეტა იანოვსკა (პოლონეთი)	9.17,15
სიმ. ხტომა	კაისა ბერგკვისტი (შვედეთი)	2,05
სიგ. ხტომა	ლუდმილა კოლჩანოვა (რუსეთი)	7,11
ჭოკ. ხტომა	ელენა ისინბაევა (რუსეთი)	4,91
სამხტომი	ტატიანა ლებედევა (რუსეთი)	15,23
ბირთვი	ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელორუსი)	20,56
ბადრო	ფრანკა დიტში (გერმანია)	68,51
შუბი	კრისტინა ობერგფოლი (გერმანია)	66,91
ურო	ტატიანა ლისენკო (რუსეთი)	77,41
20 კმ. სპ.ს.	ოლგა კანისკინა (რუსეთი)	1:26,02
შვიდჭიდი	კაროლინა კლუფტი (შვედეთი)	6719

მოულოდნელი და დამსახურებული

BMW-ს ორი პილოგრამი შუმახერის ერთ ქულას უდრის

წვიმა რომ არა, კვირას უნგრეთში უკვე მეოცე რბოლა ჩვეულად, ესე იგი ერთფეროვნად ჩაივლიდა. მიხვეულ-მოხვეულ, ვიწრო ტრეკზე მეტოქისთვის გვერდის ავლა უძნელესი ამბავია. ნაწვიმარ „ჰუნგაროორინგზე“ კი შეცდომებისა და საბურავების მიზეზით გასწრებაც ბლომად იყო და ტრასის მიღმა უსაფრთხოების ზონებში ბობღიალიც.

ერთი სიტყვით, სეზონის მე-13 ეტაპზე გამორჩეული — უნიკალური და დრამატული სპექტაკლი ვიხილეთ, რომელსაც „ალაგ-ალაგ წვიმა“ დირიჟორობდა, როლებს კი პილოტები მეტ-ნაკლები ოსტატობით ასრულებდნენ. ამასთან ბრძოლას პიკანტურობა შესძინა ჩემპიონ ფერნანდო ალონსოსა და ექს-ჩემპიონ მიხაელ შუმახერის ორორ წამიანმა სასჯელმა თავისუფალი პრაქტიკისას წესების დარღვევისთვის.

„რედ ბულის“ მეტესტე რობერტ დორნბოსმა ვარჯიშისას ოდნავ შეაფერხა ალონსო. ჩემპიონმა ვერ მოითმინა, ჯერ მუშტების ქნევით გამოხატა უკმაყოფილება, მერე კი გზა ჩაუკეტა და ბოლიდი ცხვირწინ დაუმუხრუჭა საქმის გასარჩევად.

სტიუარდებმა ამ ინციდენტისთვის ფერნანდო ერთი წამით დასაჯეს, მეორე ასეთივე სანქცია კი ყვითელი დროშებისას მეტოქის გასწრებისთვის მიიღო.

მეტად მკაცრი ჯარიმაა, თუმც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნიკი ლაუდას აზრით, სავსებით სამართლიანი:

„ფერნანდოს რეაქცია ზედმეტად ემოციური იყო. თავისუფალი ვარჯიშისას მსოფლიოს ჩემპიონი ასე არ უნდა იქცეოდეს. არაფერია გასაკვირი, რომ ერთი მრბოლი მეორის მოქმედებით გაღიზიანებული იყოს, მაგრამ მუშტების ქნევა და მოსახვევში გზის დაბლოკვა უკვე მეტისმეტია. აქამდე გაოცებული ვიყავი კრიტიკულ სიტუაციებში ფერნანდოს სიმშვიდით, რაც ახალგაზრდა პილოტებისთვის უჩვეულოა, ახლა კი აშკარაა, რომ მან ნერვიულობა დაიწყო.“

საკვალიფიკაციო შედეგზე ანალოგიური, ორწამიანი დამატება მიხაელმა სესიის შეწყვეტის მანიშნებელი წითელი დროშების ფრიალისას გასწრებისთვის მიიღო.

შედეგი ისაა, რომ კვალიფიკაციაში საუკეთესო დრო შუმის კი ჰქონდა, მაგრამ ორი წამის მიმატებით მხოლოდ მე-11 აღმოჩნდა, ხოლო ნანდო უფრო უკან, მე-15 სასტარტო პოზიციაზე. მის წინ ინგლისელი ჯენსონ ბატონი იდგა, რომელმაც მართალია, მეოთხე საპოულე შედეგი დააფიქსირა, მაგრამ ვარჯიშისას დამწვარი „ჰონდას“ ძრავის შეცვლის გამო ათი საფეხურით ჩამოაქვეითეს.

მოულოდნელად, ამ უცნაურ და გამოუცნობად რბოლაში ყველას სწორედ ბატონმა აჯობა. ცხადია, თავად ჯენსმა ძალიან იყოჩაღა, თუმც მთავარი კონკურენტების ხელმოცარვა რომ არა...

შეგახსენებთ საკვანძო მომენტებს.

AFP ბუდაპეშტიდან

კიმი რაიკონენს წვიმაში ლიდერობა დიდხანს არ დასცალდა

მიხაელმა და ფერნანდომ დაფეთებით დაიწყეს და პირველივე წრეზე შესაბამისად, შვიდი და ცხრა ადგილით აინაცვლეს.

ჩემპიონის „რენო“ შუმის „ფერარიზე“ ბევრად სწრაფი ჩანდა. რამდენიმე ცდის შემდეგ ფერნანდომ დიდოსტატურად ჩამოიტოვა მეტოქე უკან და მესამე გახდა პოულის მომგებ კიმი რაიკონენისა და პედრო დე ლა როსას „მაკლარენების“ მერე. მეშვიდე წრეზე შუმახერს ბატონმაც აუარა გვერდი.

თითქმის შუა დისტანციაზე იტალიელი ვიტანტონიო ლიუცის ერთი წრით გასწრებისას კიმის „მაკი“ უკნიდან მიახტა „ტორო როსოს“ და გვარიანადაც დაილეწა.

გალიდერებულ ალონსოსაც დიდხანს არ შერგებია მეწინავეობა — მისი აქამდე უხინჯო ბედაური ზედიზედ 18 შედეგიანი ეტაპის შემდეგ პირველად გამოეთიშა ბრძოლას ვადამდე. მეორე პიტსტოპის შემდეგ „რენოს“ წამყვანი ღერძი გაუტყდა და უკანა ნაწილით მიეხეთქა ძველი საბურავების ბარიერს.

შეთხელებულ ქარავანს ბატონი მოექცა თავში და მალე მიხაელი, რომელიც უკვე გამშრალ ტრასაზე ჯიუტად არ ცვლიდა გარდამავალ საბურავებს „სლიკებით“, უზარმაზარი სხვაობით ჩამოიტოვა. „წითელ ბარონს“ რბოლის ბოლოს ისე გაუჭირდა სისწრაფის შენარჩუნება, რომ დე ლა როსა ადვილად წამოეწია და რამდენიმე წრე წამდაუწუმ უტევდა გასასწრებად.

ესპანელის მორიგი შეტევისას ბოლიდები შეეხნენ კიდეც ერთმანეთს და პედრო ოდნავ წინ გავიდა. მიხაელი დამცავ ზონაში აღმოჩნდა და იქიდან დაიბრუნა პოზიცია, რაც წესის დარღვევაა, მომდევნო მოსახვევში კი მკვეთრად მოუჭრა გზა. დე ლა როსას უკან არ დაუხევია და ერთი წრის შემდეგ იმავე ადგილზე მაინც აუარა გვერდი შვიდგზის ჩემპიონს. შემდეგ იგივე შეძლო ნიკ ჰაიდფელდმაც. „წითელი ბარონის“ მანქანა კი ამ დუელებში დაზიანებული დაკიდულობის გამო ბრძოლას გამოეთიშა. არადა, ფინიშამდე სამი წრეღა რჩებოდა.

შუმახერს აშკარად სწრაფი მძღვრები კოლეგიალურად რომ ეკეტარებინა, გაცვეთილი საბურავებითაც მეოთხე მაინც მიგორდებოდა ფინიშთან და ალონსოსთან 11-ქულიან ჩამორჩენას გაანახევრებდა. ჯიუტობით კი მხოლოდ მეცხრე ადგილი ჩაეთვალა. თუმც მოულოდნელად, კინკილა ქულა მაინც მიიღო. რბოლის შემდგომ აწონვისას, ჟაკ ვილნევის შემცვლელ რობერტ კუბიცას „BMW-ზაუბერი“ ზღვრულ 605 კილოგრამზე ორი კილოთი მსუბუქი აღმოჩნდა, რის გამოც 21 წლის პოლონელ ლებიუტანტს მეშვიდე ადგილი და ორი ქულა ჩამოერთვა.

შედეგად, მისი ადგილი მეორე ფერარელმა ფელიპე მასამ დაიკავა. შუმის კი მერვე, ერთქულიანი ეროვნა

ამრიგად, ალონსოს უპირატესობა ერთი დიდი პრიზის დამორეკვაზე, ანუ ათ ქულამდე შემცირდა. ნანდო-შუმის საგვირგვინო ორი საკვირიანი საყოველთაო საფორმულო შვებულების შემდეგ, 27 აგვისტოს თურქული ეტაპით გაგრძელდება.

დე ლა როსამ ბოლოამდე ჩახეულად ირბოლა და პირველად შედგა პოდიუმის მეორე საფეხურზე.

26 წლის ჯენსონ ბატონისთვის ეს პირველი გამარჯვებაა თავის 113-ე რბოლაში და მართალია, მოულოდნელი, თუმც სავსებით დამსახურებული და იმედია, არა უკანასკნელი.

გია ახალაძე

მოხუცთა დღეები

ამ დღეებში ლას ვეგასში სამუნდიალო სამზადიში გაოფლილმა ამერიკის ნაკრებმა პირველი საგამოფენო მატჩები გამართა მეზობელ პუერტო რიკოსთან. „ტომას ენდ მაკ სენთერში“ ჯეელთა საცქერლად კალათბურთის ბევრმა ძველმა ვარსკლავმაც შეიარა. ჩამწკრივებულან: ლენი უილკენსი, სპენსერ ჰეივუდი, ჩაკ დეილი, კლაიდ დრექსლერი და სკოტი პიპენი. დიადი მწვრთნელი პატ რაილიც ცოლშვილთან ერთად ხარობდა მეფეის წინაშე.

გამცურავი

ერთეული ბიჯლიითია

AFP ლონდონიდან

კაციც ესა ყოფილა: ლუის პუმ მთელი მდინარე ტემზა გაცურა, სათავიდან ზღვამდე, სულ 325 კილომეტრი. ახლა ხარობს, მაგრამ ამ ღონისძიებით მსოფლიოს გლობალური დათბობის წინააღმდეგ მებრძოლი ფონდებისთვის თანხების მიზიდვა სწადია.

დედის კოცნა

დედ-მამა კოცნის პოლონელ სლავომირ კუჩკოს, რომელმაც 200 მეტრზე ბრასში ჩემპიონობა მოიპოვა ბუდაპეშტში დასრულებულ ევროპის საწყლოსნო ჩემპიონატზე.

AFP ბუდაპეშტიდან

ხელები

AFP ბუდაპეშტიდან

ეს ნატალია სუტიაგინას ხელებია ბუდაპეშტის აუზიდან. მოცურავეთა შეჯიბრებანი სამოთხეა ფოტორეპორტიორებისთვის

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯელიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge